

# საქართველო

საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
სამინისტრო

ფასი  
50  
თეთრი


გაზეთი გამოდის ოთხშაბათს და პარასკევს

16-19 ნოემბერი

1996 წელი

## სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში

### დამტკიცდა პირველი ფულადი სავსიალიზაციური საბარათო აუქციონის შედეგები



13 ნოემბერს ქონების მართვის სამინისტროში გაიმართა პრესკონფერენცია, როგორც მინისტრის მოადგილემ ბატონმა გურამ დიდბარძიძემ თავისი გამოსვლის დროს განაცხადა, უკვე დამტკიცებულია პირველი ფულადი სავსიალიზაციური საბარათო აუქციონის შედეგები. მთლიანობაში გასაყიდად გამოტანილი იყო 16 საწარმო, მათ შორის 14 საწარმოს გაყიდვაზე გაკეთდა განაცხადი. წინასწარი მონაცემებით, სულ აუქციონზე შემოვიდა 458423 ლარი, ყველაზე დიდი მოთხოვნა დაფიქსირდა საჯარო საზოგადოება "ანინგულ"-ზე, შემოსულთა 253310 ლარი, ორპირის ჩაის ფაბრიკა 13335 ლარი, საჯარო საზოგადოება "ფოთის მაცივარი" 26670 ლარი, ავიასერვისი 54000 ლარი.

ბატონმა გურამმა ხაზგასმით აღნიშნა ის ფაქტი, რომ სამინისტროში იმყოფებოდა უკრაინის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა უკრაინის ქონების ფონდის თავმჯდომარე იური ეხანუროვი, დათვალა სპეციალისტთა და დელეგაციების გაცვლის შემდგომი ღონისძიებები.

ასევე უკრაინის მხარესთან შეხვედრისას ითქვა, რომ ქონების მართვის სამინისტროში გაიმართა სემინარი,

რომელშიც მონაწილეობა მიიღო მინისტრის პირველმა მოადგილემ გიორგი ჯუღელი და გერმანელმა ოურისტმა პარტნერ ფრომმა, რომელიც "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის ერთ-ერთი ავტორია. "მეწარმეთა შესახებ" კანონის ზოგიერთი მუხლის განხილვა სემინარის ძირითად თემას წარმოადგენდა. გერმანელმა ოურისტმა, პრაქტიკულმა მაგალითებზე დაყრდნობით, კომენტარი გაუკეთა მეწარმეთა კანონის მუხლებს საჯარო საზოგადოების, საწარმოთა რეგისტრაციების და სახაზინო საწარმოების შექმნის შესახებ.

დამთავრდა სასამართლო პროცესი ქვათაძის სარჩელის გამო. პროცესს იხილავდა ვაკის რაიონის სასამართლო, რომელმაც დააკმაყოფილა სარჩელი.

დამთავრდა სასამართლო პროცესი კოპერატივ "შრომის დაცვის" სარჩელის გამო, რომელიც სამინისტროს მიერ კვლავ გასანიჭრდა.

მოვიდა ბოლნისის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილება ს/ს "ბოლნისის ტუფთა" დაკავშირებით, სასამართლომ დააკმაყოფილა ს/ს-ს სარჩელი და აღუდგინა მათ სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 29 მაისის №178 ბრძანებით მიწვეული უფლებები და შესაბამისად გაუქმა სამინისტროს 1996 წლის 13 ივნისის №1-3/227 ბრძანებულება. აღნიშნული საკითხი სამინისტროს მიერ კვლავ გასანიჭრდა.

შესწავლის პროცესშია რუსეთის მეთაურული კომბინატთან არსებული საწარმო კომბინატის "წიდა"-ს და ს/ს "ნავთობპროდუქტი"-ს დაფუნქციონირების დაკავშირებული საკითხები.

დამთავრდა საპროექტო ინსტიტუტ "საქსაზარექტის" შენობის აღწერის სამუშაოები, რომელთა შედეგადაც გამოვლინდა ის ზედმეტი ფართი, რაც ფაქტობრივად დღეისათვის დაკავებული აქვს აღნიშნულ ინსტიტუტს.

დღეისათვის მზადდება სათანადო დასკვნა და წინადადებები ამ ფართის შემდგომი განკარგვის წესის შესახებ.

მომზადდა და დამტკიცდა ორი ბრძანება სახელმწიფო ქონების ბალანსიდან ბალანსზე გადაცემის შესახებ.

დამთავრდა მუშაობა "სახელმწიფო ქონებით შექმნილი საწარმოების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოყენებული ძირითადი საშუალებების განკარგვის წესის შესახებ" დებულებაზე და იგი შეთანხმებულად გაეგზავნა ეკონომიკის სამინისტროს.

მსოფლიო ბანკის კრედიტის ტრანშის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს პრეზიდენტის №252 ბრძანებულების შესაბამისად გათვალისწინებულია ოთხი დიდი წისქვილქარხნის: მარნეულის, კაჭრეთის, ქუთაისის, გორის ინვესტიციებისათვის მიყიდვა. ამჟამად მიმდინარეობს აღნიშნულ საკითხზე სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ერთობლივი ბრძანების მომზადება.

მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 25 სექტემბრის №642 ბრძანებულების ფოთის საზღვაო ნავსადგურში საკონტინერო ტერმინალის მშენებლობის ინვესტირების შესახებ. კერძოდ, აშშ-ში კორპორაცია "სი-ლენდ-სერვისის"-ის ინიციატივით საქართველოში იწყება საკონტინერო ტერმინალის მშენებლობის და ფოთის საზღვაო ნავსადგურში ახალი საკონტინერო ტერმინალის მშენებლობა. გათვალისწინებულია ფოთის საზღვაო ნავსადგურში პირსის იჯარით გაცემა დადგენილი წესით, იმის გათვალისწინებით, რომ განსახორციელებელი ინვესტიციების შედეგად შექმნილი ქონება საიჯარო ვადის



გასვლის შემდეგ რჩება საქართველოს სახელმწიფო საკუთრებად.

დამტკიცდა IV სპეციალიზებული აუქციონის ნუსხები, რომელზეც გატანილი იქნება 40 ობიექტი. განაცხადების მიღება იწარმოებს 15 ნოემბრიდან 10 დეკემბრამდე. აქ არის ისეთი საინტერესო ობიექტები, როგორცაა გორის, სენაკის, ქუთაისის და ა.შ. პურპროდუქტების ობიექტები. აუქციონზე სულ გამოტანილი იქნება 3992139 აქციათა ნომინალური ღირებულებით 4064033, აქციების საწყისი გასაყიდი ფასია 6081580 ლარია. მიმდინარეობს მუშაობა V აუქციონის ნუსხების შესაღწევად.

ამასთანავე, ბატონმა გურამ დიდბარძიძემ განაცხადა, რომ შემოწმდება საქართველოს მასშტაბებით ყველა სახელმწიფო ორგანიზაცია, მათ მიერ დაკავებული ფართის კანონიერებასთან დაკავშირებით, მოხდება უძრავი ქონების აღრიცხვა. ამჟამად ქონების მართვის სამინისტროს წინაშე სერიოზულად დგას საკითხი ექვსი სხვადასხვა სახელმწიფოს საელოს განთავსებასთან დაკავშირებით. ასე, რომ 1997 წლის 1 მაისამდე დაეგეგმილია ყველაზე ადრე საწარმოო თუ საგაჭრო ობიექტების შემოწმება.

## ნოემბრშია:



"უცხოელი ინვესტორები აქტიურობენ" 88.2



საქართველოს საწარმოები ინტერნაციონალურ ტენდერზე 88.3



აურა და ფულზე გაყიდული სული 88.5



პანორამა 88.6



სორტული კალეიდოსკოპი 88.8

## ნოემბრშია:

## შეიქმნა რეორგანიზების კომისია

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1994 წლის 5 აგვისტოს № 99 ბრძანების სახელმწიფო საწარმოების, სახელმწიფო საწარმოთა გაერთიანებების (ტრესტების, სამმართველოების) შესახებ" გაუქმებისა და 1996 წლის 13 მაისის № 1-3/161 ბრძანებაში "სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და მინისტრის მოადგილეებს შორის ფუნქციების განაწილების შესახებ" ცვლილებების შეტანის მიზნით "მეწარმეთა შესახებ", "საქართველოს რესპუბლიკაში" საწარმოთა პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონების, სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამის მოთხოვნათა შესაბამისად სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის ბატონ ათანდო სილაგაძის 1996 წლის 13 ნოემბრის ბრძანებით შეიქმნა სახელმწიფო საწარმოების, სახელმწიფო საწარმოთა გაერთიანებების (ტრესტების, სამმართველოების) რეორგანიზების კომისია შემდეგი შემადგენლობით:

**გურამ დიდბარძიძე** - მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;

**მერაბ გაბუნია** - საორგანიზაციო-საინფორმაციო სამმართველოს

უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

**დავით გელაშვილი** - დარგების სამმართველოს უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

**ველა ჩარკვიანი** - ეკონომიკის მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი;

**ვაჟა მაისურაძე** - ეკონომიკის სამინისტროს ანტიმონოპოლიური სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი;

**ირაკლი ლვალიძე** - იურიდიული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი;

**გიორგი გორდუნიანი** - უძრავი ქონების მართვისა და აღრიცხვის სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი;

**ურბა გამყრელიძე** - საორგანიზაციო-საინფორმაციო სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, კომისიის პასუხისმგებელი მდივანი.

დაევალა სახელმწიფო საწარმოების, სახელმწიფო საწარმოთა გაერთიანებების (ტრესტების, სამმართველოების) რეორგანიზების კომისიის მოამზადების სახელმწიფო საწარმოების, სახელმწიფო საწარმოთა გაერთიანებების (ტრესტების, სამმართველოების) რეორგანიზაციის პროექტები მათი შემდგომი პრივატიზების მიზნით შესაბამისი დარგობრივი სამინისტროებისა და ადგილობრივი მმართველების ორგანოების აზრის გათვალისწინებით.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებს დაევალოს ადგილობრივი საწარმოების, სახელმწიფო საწარმოთა გაერთიანებების (ტრესტების, სამმართველოების) რეორგანიზების კომისია და მიიღონ გადაწყვეტილება მუნიციპალური საკუთრების საწარმოთა რეორგანიზების შესახებ ადგილობრივი მმართველობის ორგანოს აზრის გათვალისწინებით.

შემოადრინებული ბრძანების თანახმად გაუქმდეს 1994 წლის 5 აგვისტოს № 99 ბრძანება "სახელმწიფო საწარმოების, სახელმწიფო საწარმოთა გაერთიანებების (ტრესტების, სამმართველოების) შესახებ"; შეტანილი იქნა ცვლილებები 1996 წლის 13 მაისის № 1-3/161 ბრძანებაში "სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და მინისტრის მოადგილეებს შორის ფუნქციების განაწილების შესახებ" საწარმოთა რეორგანიზაციის კომისიის ხელშეწყობის მიზნით. ბ-ნი კ. ოსელიანი დაევალა ბ-ნ გ. დიდბარძიძეს.

## "ქილის შინისბრაი" არასასურველ სიზმარებს უკუთმავს

ქართულ საზოგადოებაში უკვე კარგა ხანია არსებობს აზრი, რომ ჩინოვნიკები სახელმწიფო კრედიტებს თავისი ოჯახის ბიუჯეტის შესავსებად იღებენ. ძნელია, რა თქმა უნდა, საკითხის ასე დაყენება დაფიქსირებულ ფაქტებზე დაყრდნობით. ქვეყნის ბიუჯეტს არასწორად აღებული უკვე რამდენიმე კრედიტი "ეტენება", პასუხისმგებლობის აღება კი არავის სურს. უფრო მეტიც, ყველა ცდილობს, რომ თავისი ცოდვები ლამაზ ლანგარზე დაწყობილი სხვას შეაჩვიოს ხელში.

ერთ-ერთი ასეთი წარუმატებელი (თუ დანაშაულებრივი) იყო ე.წ. "თურქული კრედიტი", რომელმაც დღეს საკმაოდ ბევრს დაუფრთხო ძილი. ამ კრედიტის გარშემო წამოჭრილ საკითხებში, როგორც ირკვევა, საკმაოდ კომპლექსურია ვაჭრობის მასშტაბული მინისტრი, ახლა სამომხმარებლო ბაზრისა და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა განყოფილების უფროსი მურთაზ ხანკალიანი, რომელიც აცხადებს, რომ: (გაგრძელება მე-2 გვ-ზე)

# „უხსოვლი ინვესტირება აქტივობა“

მიმდინარეობს სპეციალიზებული აუქციონები. ჩვენს გაზეთში უკვე გამოქვეყნდა პირველ-მეოთხე აუქციონებზე გაგანილი სააქციო საზოგადოებების ნუსხები.

უკვე შეჯამდა პირველი სპეციალიზებული აუქციონის შედეგები. ამასთან დაკავშირებით ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ფასიანი ქაღალდებისა და საინვესტიციო ფონდების სამმართველოს უფროსს პანო ჩხაიძეს

**„შესაკუთრე“: ბატონო ვანო! როგორი იყო თქვენი პროგნოზები პირველ სპეციალიზებულ აუქციონის შედეგებზე?**

ვანო ჩხაიძე: მართალი გითხრათ, ვარაუდობდი, რომ გარკვეული მიზეზების გამო დაინტერესება ნაკლები იქნებოდა. მხედველობაში მაქვს გადახდისუნარიანობის დაბალი დონე, აქციების გაძვირება. მოსალოდნელი იყო, რომ ნაკლები აქციები გაიყიდებოდა, შესაბამისად თანხებიც არ იქნებოდა შთაბეჭთავი.

**„მ“: ასეც მოხდა?**

გ.ჩ.: საბედნიეროდ, არა. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, პროგნოზები არ გამართლდა. აქციების შესყიდვის მსურველები მრავლად აღმოჩნდნენ. აუქციონზე გამოტანილი 16 საზოგადოების აქციებიდან მხოლოდ სამმა ვერ დაიკმაყოფილა მოთხოვნა.

**„მ“: რა იყო ამის მიზეზი?**

გ.ჩ.: ძალიან უბრალო რამ. ეტყობა, ზოგიერთი ვერ გაერკვა სპეციალიზებული აუქციონის მექანიზმში და ამის გამო ამ სამმა გვიან შეიტანა თანხები, ასევე ვადის დარღვევით წარმოადგინა განაცხადი.

**„მ“: რა ბედი ეწევთ მათ?**

გ.ჩ.: თანხები პატრონებს დაუბრუნდებათ და იმედია, ახლა მაინც

მოასწრებენ სხვა აუქციონში მონაწილეობას.

**„მ“: უფრო კონკრეტულად რას გვეტყვიდით საერთო შედეგზე?**

გ.ჩ.: შედეგები, როგორც გითხარით, ძალიან დამაინტერესებელია. შემოვიდა 438.881 ლარი. დოლარების ექვივალენტით ეს არის 345 ათას 534 დოლარი. გაიყიდა 170 ათასამდე აქცია, ესე იგი, ეს არის გამოტანილი აქციების თითქმის ორ მესამედზე მეტი.

იმედია, რომ შემდეგი აუქციონები კიდევ უფრო საინტერესო იქნება.

**„მ“: თქვენ ახსენეთ გადახდისუნარიანობა. შედეგები სხვა სურათს წარმოგვიჩვენებს.**

გ.ჩ.: აქ ორი მომენტია გასათვალისწინებელი. ჯერ ერთი, მართლა ამაღლდა გადახდისუნარიანობის დონე. მეორე - კონკრეტულად თუ პირველ აუქციონს გავანალიზებთ, მაშინ გამოჩნდება, რომ გაიზარდა უცხოელი ინვესტორების დაინტერესება.

**„მ“: რამ დაინტერესა ისინი?**

გ.ჩ.: ძირითადად, ჩამო დღევანდელ მავალითად, აუქციონზე გამოტანილი ჩაის ფაბრიკების აქციები თითქმის სულ უცხოელებმა შეისყიდეს. თქვენთვისაც ცნობილია, რომ ფირმა „მარტინ ბაუერი“ უკვე დიდი ხანია ჩაის მრეწველობით არის



დაინტერესებული და საკმაო თანხებიც აქვს დაბანდებული. საკმაო აქციები გაიყიდა უცხოელებზე თელავის ღვინის ქარხანამ „ანინბულმა“.

ზოგადად თუ ვილაპარაკებთ, პოსტსაბჭოურ სივრცეში ფასიანი ქაღალდების ბაზარს საერთოდ ახსიათებს ზრდის ტენდენცია. გამონაკლისი არც საქართველოა. რაც უფრო გაფართოვდება ეკონომიკური რეფორმები და უფრო თამამად შემოვა უცხოური ინვესტიციები, დაინტერესება მეტი იქნება.

**„მ“: ცხადია, მოთხოვნილება გაიზარდა?**

გ.ჩ.: რა თქმა უნდა, მაგრამ მე უფრო ზოგადად მინდა აღვნიშნო: მაკროეკონომიკური გარემოს გაჯანსაღების კვალობაზე ამაღლება არა მარტო მოთხოვნილება, არამედ აქციების ფასიც მოიმატებს. ამიტომ ვვფიქრობ, ვისაც შეუძლია, რა დიდადაც არ უნდა მოეწყონოს დღევანდელი ფასები, საჭიროა ინვესტირება, რათა ოჯახს, შთამომავლობას კრძო მფლობელობაში მეტი ქონება დაუტოვოს.

ესაუბრა  
**ნ. პატარაძე**

**P.S. აქვე გთავაზობთ პირველი სპეციალიზებული აუქციონის შედეგების შემოკლებულ ვარიანტს.**

№	სააქციო საზოგადოების დასახელება (სახელწოდება გარდაქმნამდე)	გამომცემული აქციების რაოდენ.	აუქციონზე გასყიდული აქციების რაოდენ.	% საწესდ. კაპიტალი	აუქციონის ყოველ ჯერზე აქც. რაზ.	სულ გაყ. აქციების რაოდ. - ბა	გაყ. აქც. - % საწესდ. კაპ. - თან	1 აქც. ფასი - აშშ დოლართან
1	14. "ავტორანსის სტემა"	98360	826	0.84	0	0	0	ლ
2	33. "მინის ტარის ქარხანა" (ქუთ.)	199654	4959	2.484	10	4950	2.479 29	2.1
3	63. "ავიასერვისი" (საპაერო ტრანსპორტ. სააგ.)	110700	40239	36.35	10	20240	18.2836	2.1
4	114. "კალასი" (საავეჯო დეტ. კ-ტი)	360217	6303	1.75	10	6300	1.74895	2.1
5	117. "მოწამეთა" (ქუთ. საშ. და არამაქ. მას. კ-ტი)	84426	43608	51.65	0	0	0	ლ
6	251. "ანინბული" (თელავის ქ-ნა)	339381	105908	31.21	10	105900	31.2039	2.1
7	270. "ვერდი" (თბ. მატყლის პირვ. დამუშ. ფ-კა)	249887	1046	0.419	10	1040	0.41619	2.1
8	346. "ფოთის მაცივარი" ("საქთიფი" ფოთ. მაც.)	94804	26539	27.99	10	10000	10.5481	2.1
9	666. "შენებელი" ("საქქალაქშენი"-ს შპს-70)	47073	185	0.393	10	180	0.38238	2.1
10	668. "სადღესასწაულებრივი" "თბილისი" (რიტ. სას.)	196809	2696	1.37	0	0	0	ლ
11	703. "სატრ. საწვ. ვაშლი ვეკარი" (სატრ. ვაშ. № 10)	119149	2303	1.933	10	2300	1.93036	2.1
12	864. "ნაბახი" (რუსთ. პურკომ. სათ. ქ-ნა)	357794	3669	1.025	14	3668	1.02517	1.5
13	868. "თბილეთი ლავიკონსტრუქცია" (თბ. საშ. სამონტ.)	74659	21	0.028	10	20	0.02679	2.1
14	925. "რუხის ჩაის ფაბრიკა"	40320	1500	3.72	14	1498	3.71528	1.5
15	945. "ორპირის ჩაი" (ტყიბულ. ს. ორპირის ჩ. ფ-კა)	66733	7009	10.5	14	7000	10.4896	1.5
16	946. "ტყიბულის ჩაი" (ტყიბ. ჩაის ფ-კა)	136909	6893	5.035	14	6888	5.03108	1.5
	სულ:	2576875	253704	169984				

# პროფიზიური დარგის რეალურად ამოქმედება

საქართველოსა და ევროპის ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის შედეგები უკვე სახეზეა - თბილისის აეროპორტის რეკონსტრუქცია, შავი ზღვის საერთაშორისო კომერციული ბანკის დაარსება, დიდი პერსპექტივები აქვს კავკასიურ საინვესტიციო ფონდს და აზერბაიჯანისა და შავი ზღვის დამაკავშირებელი სარკინიგზო მაგისტრალის მოდერნიზაცია-რეკონსტრუქციას. ამ და სხვა საკითხებზე იყო საუბარი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ვიცე-პრეზიდენტის მანფრედ აბელანისა და საქართველოს

პრეზიდენტის ელვარდ შვეარდნაძის შეხვედრაზე. სტუმრის განცხადებით, ჩვენს ქვეყანაში მკაცრმა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებამ და, საერთოდ, რეფორმების წარმატებულმა შედეგებმა განაპირობეს საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდა. მისი თქმით, მეტად მნიშვნელოვანი იქნება საქართველოში საშუალო და მცირე ბიზნესისათვის გამომწვევი საკრედიტო ხაზის გახსნა, ვინაიდან ყველა სახელმწიფოში სწორედ საშუალო ბიზნესის

განვითარებაზე დამოკიდებული ეკონომიკის გაჯანსაღება. ევროპის ვიცე-პრეზიდენტმა სრულად გაიზიარა ელვარდ შვეარდნაძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ევროპული დერეფნის რეალური ამოქმედებისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება მისი ერთ-ერთი ძირითადი რგოლის - სარკინიგზო მაგისტრალის ექსპლოატაციაში შეყვანა და განაცხადა, რომ ამ პროექტის დამუშავება გადრეკილია, ვინაიდან აღნიშნული სატრანსპორტო მაგისტრალის ამოქმედება ევროპის ინტერესებშიც შედის.

# "პილის მინისტრი"

საქართველოსათვის თურქული კრედიტი იყო არა ფინანსური, არამედ სასაქონლო კრედიტი, ვინაიდან ხელშეკრულებაში ჩადებული იყო გამოყოფილი სახსრებით მხოლოდ და მხოლოდ თურქული წარმოების საქონლის, დანადგარ-მოწყობილობათა და ნედლეულის შექმნა. ეს ფაქტიურად იყო თურქეთის მთავრობისაგან საკუთარი საწარმოების დაფინანსება, ჩვენთვის კი კონსინგაციის (წინასწარი გადახდის გარეშე) წესით ჩვენ ბაზარზე თურქული საქონლის შემოშვება. თუ არა იმ პერიოდში საქართველოში უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობა, რასაც დამატარა საბაზრო ეკონომიკის რთულ პროცესებში ქართული მხარის გამოუცდლობა, ასეთი უმძიმესი პირობებით ხელშეკრულება არ უნდა გაფორმებულიყო (მხედველობაშია დროზე გადაუხდელობისას ლიბორი, პროცენტის პროცენტები და ა.შ.).

თურქული კრედიტის სიმძიმეზე ისიც ვერცხვდება, რომ გამოყოფილი 50 მლნ დოლარიდან ათვისებულმა მხოლოდ 41,5 მლნ დოლარი კრედიტის ათვისება რეალიზაციაში არსებული ხარვეზები იმანაც განაპირობა, რომ ეს პროცესი ძალზედ დიდხანს გაჭიანურდა. ხელშეკრულების დადებიდან ერთ წელიწადზე მეტი დრო დასჭირდა თურქეთიდან საქონლის, დანადგარ-მოწყობილობათა და ნედლეულის შემოტანას.

მიუხედავად აღნიშნულისა, ობიექტურობის დაცვის მიზნით ისიც უნდა ითქვას, რომ თუ არა აღნიშნული კრედიტი, საქართველოს იმ მხელ პერიოდში ძალზედ გაუჭირდებოდა მოსახლეობის ნორმირებული პურით და რიგი სხვა სასურსათო პროდუქტებით მომარაგება, ვინაიდან ამ კრედიტის ძირითადი მასა 14,1 მლნ დოლარი გამოყენებული იქნა პურისა და ცხიმების შესაძენად. (შემოტანილი იქნა 80,0 ათ. ტონა ხორბალი, 16,0 ათ. ტონა ფქვილი, 1,5 ათ. ტონა საბუთბურთო მარგარინი).

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გენერალური ხელშეკრულების თანახმად, კრედიტის ათვისების (ტრანსპორტირების და სხვა) ხარჯების დასაფარავად, საქართველოს ორგანიზაციებს უნდა გადაეხდათ კრედიტის მთლიანი ღირებულების 5 პროცენტამდე. ასეთი თანხები კი არც ერთ ჩვენ ორგანიზაციას არ გააჩნდა, ამიტომ მისი გადახდა მოუხდა თურქეთის მხარეს, რამაც კიდევ უფრო გაართულა კრედიტის პირობები. უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთის ზოგიერთმა მომწოდებელმა ფირმამ აშკარად დაარღვია დადებული ხელშეკრულებები და რიგ შემთხვევაში ჩვენ მხარეს მოაწოდა უხარისხო საქონელი. განსაკუთრებით აღსანიშნავია შულავერის ფაბრიკის მაგალითი. ორ წელზე მეტია ამ ფაბრიკაში დევს მოწოდებული უხეში მატყლი, რომელზეც მიმდინარეობს დაუსრულებელი დევა საარბიტრაჟო სასამართლოებში, რომელსაც ემატება სასამართლო, სამიწიანი ხარჯები და სხვა. ექვს არ იწვევს, თურქეთის მხარეს დაშვებული აქვს არამართებული ქმედება. საკითხი მოითხოვს უქველ გადაწყვეტას, რაზეც მუშაობს ეკონომიკის სამინისტრო.

ამიტომ ორგანიზაციამ ვერ შეძლო იმის დადგენა, ვალდებულად დაფარვა უფრო მეტიც დასრულდეს. პროცენტები ვინაიდან გადახდილი აქვს მხოლოდ ვაჭრობისა და კავშირგაბმულობის სამინისტროებს. რესპუბლიკის მთავრობამ წინასწარ იცოდა, რომ პურ-პროდუქტების სახელმწიფო კორპორაცია აღებული 12,9 მლნ დოლარის ვალის გასტუმრებას ვერ შეძლებდა, ვინაიდან შემოტანილი პურის მარცვლისა და ფქვილის რეალიზაცია უნდა მომხდარიყო მოსახლეობაზე ნორმირებული პურის გაცემის პირობებში (იმ დროისათვის 1 კგ პური იცემოდა მოსახლეობაზე 700 კუპონად).

ფაქტიურად იგივე მდგომარეობა არის ვაჭრობის და მომარაგების სამინისტროს მიერ 1,2 მლნ დოლარის საბუთბურთო მარგარინზეც, რომელიც ასევე ნორმირებულად კუპონებზე იქნა გაცემული მოსახლეობაზე, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სამინისტროს ხელმძღვანელობამ, სახელმწიფო ვალის შემცირების მიზნით, მარგარინის ფასთან სხვაობა შეიტანა სხვა სამრეწველო საქონლის თვითღირებულებაში, რამაც საგრძობლად გაზარდა ამ საქონლის გასაყიდო ფასი, რამაც საბოლოო ჯამში შეაწინააღმდეგა საქონლის რეალიზაცია.

მიუხედავად იმისა, რომ თურქული კრედიტის აღებაში დაშვებულია მთელი რიგი სუბიექტური შეცდომები, სამართლიანობის მიზნით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კრედიტის ქვემოთ გამოყოფილი საქონლის, დანადგარ-მოწყობილობათა და ნედლეულის მიღების შემდეგ, საქართველოში შექმნილმა მძიმე ეკონომიკურ-პოლიტიკური დამარცხებულმა სიტუაციამ ფაქტიურად არც ერთ ორგანიზაციას არ მისცა საშუალება მისი ეფექტური გამოყენებისათვის.

წარმოებებმა ეკონომიკურ სტანდარტის პირობებში ვერ შეძლეს გამოშვებული პროდუქციის რეალიზაცია, სასტუმრო "გულდურმა" კი ტურისტული საქმიანობის გაშლა და ა.შ.

ნიშნობრივია ვაჭრობისა და მომარაგების სამინისტროს ხაზით განვითარებული პროცესები. ხელშეკრულებაზე მუშაობის დროს, ფაქტიურად საქართველოს ბაზარს ცარიელი იყო. შემოტანილია დაახლოებით 127 დასახელების საქონელი, რომლის აბსოლუტური უმრავლესობა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ფირმების მიერ (იტალია - კაველი, სანტეჩიკა; საფრანგეთი - მაკიერები; გერმანია - ავტოსაბურავები, აკუმულატორები; იაპონია და სხვა) თურქეთში შექმნილი საქონელია. ხელშეკრულების დადებისას საქართველოში ეს საქონელი ფაქტიურად არ იყო, ამასთან რუსულ ფულზე იყო ვაჭრობა. დოლარებში გადაყვანილ ჩვენთან მაშინდელი ფასები 2-3 ჯერ მეტი იყო და დიდი ეფექტით შეიძლებოდა გაყიდულიყო. საქონლის შემოსვლის გამო, აგრეთვე ჩვენთან მიმდინარე ვაჭრობის ლიბერალიზაციის პირობებში, შულავერ პერიოდში თვით თურქეთის ფირმებმა და ხელზე მოვაჭრეთა დიდმა მასამ შეძლო ჩვენ ბაზარში მსგავსი საქონლის დიდი რაოდენობით შემოტანა, რასაც შემოაღნიშნული მარგარინის ფასის ამ საქონელზე დამატებაც მოჰყვა, ყველაფერმა ამან ძალ-

# არასასურველ სიზმრებს უკვეთავს

ზედ შეფერვა სამინისტროს ხაზით მიღებული საქონლის რეალიზაცია. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქონლის შემოტანის დროს (1994 წლის მარტი-მაისი) საქართველოში სუფევდა განუყოფლობა (ომის შემდეგ) ლამი პერიოდში) ფაქტობრივად და ბათუმთან საქონლის თბილისამდე ჩამოტანა ხდებოდა უდიდესი კონსპირაციის პირობებში მძიმე სამხედრო ტექნიკის თანხლებით. სამინისტროს ხელმძღვანელობამ საქონლის ფართო რეალიზაციას უკვე დაიწყო, მისი ყაჩაღური გატაცების თავიდან აცილების მიზნით. მხოლოდ ქ. თბილისის ორი უნივერსიტეტის თითო სექციაში დაიწყო მათი რეალიზაცია. ძალზე მცირე პარტიებით იქნა შესაძლებელი ქუთაისში და ბათუმში ამ საქონლით ვაჭრობა.

ყველაფერმა ზემოაღნიშნულმა და სხვა სუბიექტურმა გარემოებებმა (მოხდა სავაჭრო ქსელის პრივატიზაცია, აქტიონირება, სახელმწიფოს მიერ დაწესებული მყარი ფასები და დათმობის პროცენტი მათ უკვე აღარ აწყობდათ და არც ახლა აწყობთ) ხელი შეუშალა საქონლის რეალიზაციას.

საქართველოში საერთოდ და მთ შორის თურქული კრედიტების მიმართ ატეხილი ხმაურის გამო, საქართველოს მთავრობის დავალებით 1994-95 წლებში არაერთხელ იქნა შემოწმებული კრედიტის ამღებ ყველა ორგანიზაციაში შემოტანილი საქონლის, მასალების, დანადგარ-მოწყობილობათა რაოდენობა და ხარისხი. (პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, კონტროლის პალატის, საგადასახადო ინსპექციის, ბანკის კომპლექსური კომისია), მიუხედავად ცალკეულ დარღვევა-დამახინჯებათა ფაქტებისა, რაიმე კრიმინალური დანაშაული არ ყოფილა დადგენილი.

ვაჭრობისა და მომსახურების სამინისტრომ საქონლის რეალიზაციის დაჩქარების მიზნით, მთავრობასთან შეთანხმებით 1,2 მლნ დოლარის საქონელი ხელშეკრულებების საფუძველზე 1995 წლის ივნისში გაიტანა რუსეთის ბაზარზე. როსტოვის ფირმა "ზარია"-ს მეშვეობით. ამ ფირმის გარანტიად დგას ქართველი ბიზნესმენი, შვეიცარიის ფირმა "ალბატროს პოლინგ ლატ-ს" პრეზიდენტი, საქართველოს კომერციული

ბანკის "აერგობანკის" პრეზიდენტი ბ-ნი ა. ჯგერენია. სხვადასხვა მიზეზების გამო ფირმა "ზარია" თავის დროზე ვერ გადაიხდა ვალები. დაუგროვდა დიდი საპროცენტო გადასახადები, ხოლო ბ-ნი ა. ჯგერენია იძულებული გახდა მის მიერ ამ ვალის დაფარვაზე. მის მიერ დამატებით გაცემული ფინანსთა და ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროზე ვალის დაფარვის გარანტია, თუ არა ბატონი ა. ჯგერენიას გარანტია, სამინისტრო რუსეთის ფირმას არ მისცემდა არც ერთი ცენტის პროდუქციას.

უნდა ეთხოვოს საქართველოს პროკურატურას, რათა სამინისტროსთან ერთად გაატაროს კანონით გათვალისწინებული ღონისძიება, როგორც ფირმა "ზარია", ასევე ბ-ნი ა. ჯგერენიას მიმართ. ჩვენს ხელთ არსებული არაოფიციალური ინფორმაციით ბ-ნი ა. ჯგერენიას აქვს საშუალება გადაიხადოს ეს ვალები, რაც საქართველოს საგარეო რესურსებში იწვება ჩადებული, ვინაიდან, როგორც ზევით აღნიშნეთ, 1996 წლის 1 ივნისიდან კრედიტით შემოტანილი საქონლისა და მომსახურებით მიღებული შემოსავლები ამჟამად თავს იყრის ფინანსთა სამინისტროს სპეციალურ ანგარიშზე.

წინადადებები შესაძლო გასატარებელ ღონისძიებებზე: - მიღებულ იქნას ცნობად, რომ შუალედური მატყლის ფაბრიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობს ეკონომიკის სამინისტრო, რაშიც ჩართულია რესპუბლიკის პროკურატურა.

- ვინაიდან თურქეთის პრეზიდენტთან, ყოფილ პრემიერ-მინისტრთან ფაქტიურად მიღწეულია პრინციპული შეთანხმება თურქული კრედიტის რესტრუქტურისა და დაკავშირებით, რაც გარკვეულად ჰიანურდება თურქეთის მთავრობაში ცვლილებებთან დაკავშირებულ პროცესებთან, ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ დააჩქაროს ამ საკითხის თურქეთის მხარესთან საბოლოო გადაწყვეტა.

- პურპროდუქტების სახელმწიფო კორპორაციის და ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების სამინისტროს ხელმძღვანელი პროდუქტებისა საკრედიტო ვალი შესაბამისად 12,9 მლნ დოლარი და 1,2 მლნ

დოლარი, პროდუქტების მოსახლეობაზე ნორმირებულად კუპონებზე რეალიზაციის გამო აღებულ იქნას როგორც სახელმწიფო შიდა ვალი.

- ფინანსთა და ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროებმა გაძლიერებული ერთობლივი კომისიის მონაწილეობით მოახდინოს სავაჭრო ქსელში არსებული საქონლის 1,2 მლნ დოლარის ფასების შემოწმება. ჩამოსაფარებული საქონლის ნომენკლატურა და ჩამოფასების ღონე, განისაზღვროს სამინისტროთა ერთობლივი ბრძანებით.

- ფინანსთა სამინისტრომ და ვაჭრობისა და საგარეო ურთიერთობების სამინისტროებმა განიხილონ საბითუმო და საცალო ქსელში არსებული სასაქონლო რესურსების ფინანსთა სამინისტროს მფლობელობაში გადაცემის საკითხი, გააფორმონ საამისოდ ყველა საჭირო დოკუმენტაცია.

- კრედიტის ვალის რესტრუქტურისა და შემდეგ საქონლის რეალიზაციის დაჩქარების მიზნით ნება მიეცეს ფინანსთა სამინისტროს გაფორმოს ხელშეკრულება სავაჭრო ქსელთან რეალიზაციის პირობების, სავაჭრო დათმობების და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით.

- ნება დაერთოს ფინანსთა სამინისტროს რესტრუქტურისა და შემდეგ 3 წლის განმავლობაში ვაჭრობიდან შემოსულ თანხები გამოიყენოს როგორც საკრედიტო რესურსი, მიღებული თანხა და საპროცენტო განაკვეთი გამოყენებული იქნას თურქეთის ვალის დასაფარავად.

- ფინანსთა სამინისტრომ და კრედიტის ამღებმა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებმა განიხილონ საკითხი ვალის ანგარიშში მატერიალური რესურსების (მასალები, ნედლეული, პროდუქცია, ძირითადი საშუალებები) სამინისტროს სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, რაც გაფორმდეს ურთიერთხელ შეკრულებების საფუძველზე.

- დაევალოს რესპუბლიკის პროკურატურას, ფინანსთა, ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროებთან ერთად გაატაროს ყველა საჭირო ღონისძიება როსტოვის ფირმა "ზარია" და მის გარანტ "აერგობანკის" პრეზიდენტ ბ-ნი ა. ჯგერენიას მიმართ სახელმწიფო ვალის დაფარვის მიზნით.

1987 წელს სოციალიზმში საბჭოთა კავშირში ჩაატარეს გამოკვლევა, თუ რომელი სიტუაცია უფრო ხშირად გაისმოდა პრესის ფურცლებზე. პირველ ადგილზე, ბუნებრივია, გარდაქმნა გავიდა, მას მოსდევდა "დაჩქარება" და "საქარაოკა".

საბჭოთა კავშირი უკვე კარგა ხანია დაიშალა (რუსულიდან მიიხსნა) და მსგავსი გამოკვლევებიც აღარ ტარდება. "საქარაოკა" ში ბოლო წლების მანძილზე "რეკონსტრუქცია" და "უფრო მეტი გახდებოდა. ახლა კი, იშვიათია გაზეთი "საქრედიტო კავშირებზე" რომ არ იყოს საუბარი. ზოგიერთი კოლეგა ნუ გვიწყენს და, მათი წერილები უკმარისობის გრძობას გიტოვებს ადამიანს.

ამ საკითხზე მსოფლიო ბანკში მომუშავე ჩვეულებრივ მეტად საინტერესო და ყოველს მომცველი ინფორმაცია მოამზადა, რომელიც ჩვენი გაზეთის მკითხველს უმჯობესად დაინტერესებს.

## 1. რა არის საკრედიტო კავშირები?

საკრედიტო კავშირები არის კერძო ფინანსური საშუალებლო ორგანიზაციები, რომლებსაც ფლობენ თავისივე მომხმარებლები და მოქმედებენ კოორპერაციული და დემოკრატიული პრინციპების მიხედვით. ჩვეულებრივ, ისინი იქმნებიან, რათა მოემსახურონ ადამიანთა ჯგუფს, რომლებიც იცნობენ და ენდობიან ერთმანეთს და აქვთ რაღაც საერთო, როგორცაა ერთი და იგივე ადგილზე ცხოვრება და მუშაობა, ან არიან ერთი და იგივე ასოციაციის ან ეკლესიის წევრები. საკრედიტო კავშირებში არ ხდება დისკრიმინაცია რასობრივი, რელიგიური, პოლიტიკური და სქესობრივი განსხვავების მიხედვით...

## უნიკალური ფინანსური უშაბავლები

## 2. როგორ წარმოიშვა საკრედიტო კავშირები?

საკრედიტო კავშირების შექმნის იდეა დაიბადა გერმანიაში 1850 წელს. ორმა ნოვატორმა, პერმან და შულც-ლევიცმა დაფუძნეს რაიფაიზენმა ჩამოყალიბეს საკრედიტო კავშირები როგორც თვითდახმარებ საფინანსო ინსტიტუტები, რათა უზრუნველყათ გაღატაკებული ფერმერები და წვრილი მეწარმეები საანაზრო და საკრედიტო მომსახურებით. ეს მათ გადარჩენის საშუალებას მისცემდა არსებულ რთულ ეკონომიკურ პირობებში. ამ მოდელის წარმატებამ შემდგომ საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ფინანსურ კოოპერაციებს.

## 3. სად მოქმედებენ საკრედიტო კავშირები?

საკრედიტო კავშირები და მსგავსი კოოპერაციული ბანკები მოქმედებენ თითქმის მთელ მსოფლიოში. აშშ-ში, კანადაში, ევროპაში, ავსტრალიასა და ირლანდიაში ეს ორგანიზაციები მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფენ მომხმარებელს ფინანსური მომსახურებით. ისინი უზრუნველყოფენ სამომხმარებლო და საწარმოო დანიშნულების საანაზრო და საკრედიტო მომსახურებას აზიის, ლათინური ამერიკის, კარიბის ზღვის და აფრიკის ქვეყნებში. ისეთი ქვეყნების უმთავრესი კოოპერაციული საბანკო სისტემები, როგორცაა გერმანია, ნიდერლანდები, იტალია, ესპანეთი და სკანდინავიის ქვეყნები წარმოიშვა საკრედიტო კავშირების სახით. უკრაინაში, პოლონეთში, რუსეთში, ლიტვაში და სხვა გარდამავალი ეკონომიკის პირობებში მყოფ ქვეყნებში საკრედიტო კავშირები განვითარდა ისტორიული მოდელებისა და თანამედროვე შესაძლებლობების საფუძველზე.

რებას აზიის, ლათინური ამერიკის, კარიბის ზღვის და აფრიკის ქვეყნებში. ისეთი ქვეყნების უმთავრესი კოოპერაციული საბანკო სისტემები, როგორცაა გერმანია, ნიდერლანდები, იტალია, ესპანეთი და სკანდინავიის ქვეყნები წარმოიშვა საკრედიტო კავშირების სახით. უკრაინაში, პოლონეთში, რუსეთში, ლიტვაში და სხვა გარდამავალი ეკონომიკის პირობებში მყოფ ქვეყნებში საკრედიტო კავშირები განვითარდა ისტორიული მოდელებისა და თანამედროვე შესაძლებლობების საფუძველზე.

## 4. რა სახის მომსახურებას უწევთ საკრედიტო კავშირები?

საკრედიტო კავშირები სპეციალიზირდებიან საფინანსო მომსახურების სფეროში. ისინი გთავაზობენ სხვადასხვა სახის საანაზრო, საკრედიტო, საგადასახადო და სადაზღვევო მომსახურებას მომხმარებელთა მოთხოვნისა და შემოსავლების შესაბამისად. ჩვეულებრივ, ეს მომსახურება მოიცავს: საანაზრო მომსახურებას შემსახველი წიგნაკების საშუალებით, ვაიდან ანაზრებს, მომსახურებას საჩუქო სისტემით, თანხების გადარიცხვას, სესხებს პიროვნებებისა და საწარმოებისათვის (მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი), ანაზრებისა და სესხების დაზღვევას.

## 5. რა სარგებლობა მოაქვს საკრედიტო კავშირებს?

საკრედიტო კავშირების საშუალებით გაიზრდება მოქალაქეთა შემოსავლები ანაზრებზე, ხელმისაწვდომი იქნება კრედიტების მიღება ზომიერ ფასებში, ზოგიერთ ქვეყანაში საკრედიტო კავშირები აწარმოებენ ჩვეულებრივ და სხვა სახის გადახდებს, ისევე, როგორც სიცოცხლის შეღავათიან დაზღვევას.

საკრედიტო კავშირებს სარგებლობა მოაქვთ ეკონომიკისათვის, რაც გამოიხატება იმ დანაშოგების გაერთიანებასა და ამოქმედებაში, რომელიც სხვა შემთხვევაში ნაღდ ფულად იქნებოდა შენახული ან დაიხარჯებოდა. იგი ხელს უწყობს წარმოების, დასაქმებისა და შემოსავლების ზრდას. ფინანსური ბაზრის ეფექტურობა მატულობს, რამეთუ ფინანსური ინსტიტუტების მზარდი რიცხვი ქმნის კონკურენციას, რის შედეგადაც კლებულობს საპროცენტო განაკვეთების ღონე და იზრდება ანაზრები და კრედიტები.

(დასასრული მე-4 გვ)



# საქართველოს სანარმოები

## ინტერნაციონალურ ტენდერზე

ქონების მართვის სამინისტროს საინფორმაციო-საორგანიზაციო განყოფილების უფროსის მერაბ გაბუნიას განცხადებით ქონების მართვის სამინისტრომ ინტერნაციონალურ ტენდერზე საქართველოს რამდენიმე საწარმო წარადგინა. ორმა საზღვარგარეთულმა ფურნალმა "APPAREL INDUSTRY" და "WORLD CEMENT" გამოაქვეყნა კიდევ 3 სააქციო საზოგადოების - გორის საფეიქრო კომბინატ "მელას", კასპისა და რუსთავის ცემენტის ქარხნების ტექნიკურ-ფინანსური მონაცემების ნუსხა. მათ შორის ს/ს "მელა" "APPAREL INDUSTRY"-ში წარმოდგენილი იქნა

შემდეგნაირად: 3.226.530 გაყიდვის წილის მქონე საწარმო, რაც საწვსდებო კაპიტალის 99,5%-ს შეადგენს, გააჩნია ახალი გამოშვების მაღალხარისხის საქსოვი დაზგები, შალის მიწოდების დაბალი ფასები, მდებარეობს გორში, ცენტრალურ საქართველოში, სატრანსპორტო გზის გვერდით და აქვს მაღალი საექსპორტო შესაძლებლობები.

რაც შეეხება კასპისა და რუსთავის ცემენტის ქარხნებს, მათი ტექნიკურ-ფინანსური მონაცემების ნუსხა ურნალ "WORLD CEMENT"-ში დაიბეჭდა შემდეგი სახით: კასპის ცემენტის გაყიდვის წილია 544,872, რაც შესაბამისად

პირველის საწვსდებო კაპიტალის 61%, ხოლო მეორეს 50,3%-ია. ორივე ქარხნის წარმადობა არის ყოველწლიურად 800 000 ტონა ცემენტი, რომელიც ე.წ. "სველი" მეთოდით მიიღება, ამასთანავე კასპისა და რუსთავის ქარხნებს ახალი საკონტროლო მოწყობილობა და შემფუთავი ხაზი აქვთ.

იმედია უცხოელი ინვესტორები საქართველოში მდებარე საწარმოების მიმართ სათანადო ინტერესს გამოავლენენ, რაც ჩვენს ქვეყანაში წარმოების რეალურად აზრს უწყობს ფაქტორიც შეიძლება გახდეს.

დათო ჭყონია



GEORGIA INDUSTRIAL ENTERPRISES	
<p><b>საქართველოს საინფორმაციო-საორგანიზაციო განყოფილება</b></p> <p>საინფორმაციო-საორგანიზაციო განყოფილება</p> <p>საინფორმაციო-საორგანიზაციო განყოფილება</p>	<p><b>საქართველოს საინფორმაციო-საორგანიზაციო განყოფილება</b></p> <p>საინფორმაციო-საორგანიზაციო განყოფილება</p> <p>საინფორმაციო-საორგანიზაციო განყოფილება</p>

GEORGIA INDUSTRIAL ENTERPRISES	
<p><b>საქართველოს საინფორმაციო-საორგანიზაციო განყოფილება</b></p> <p>საინფორმაციო-საორგანიზაციო განყოფილება</p> <p>საინფორმაციო-საორგანიზაციო განყოფილება</p>	<p><b>საქართველოს საინფორმაციო-საორგანიზაციო განყოფილება</b></p> <p>საინფორმაციო-საორგანიზაციო განყოფილება</p> <p>საინფორმაციო-საორგანიზაციო განყოფილება</p>



# მთავარი ხარხაპლს მოღუნების უფლება არ მივცა

საპატრულის შეტენა თავის- თავად ბევრს არ ნიშნავს. მთავარი მისი მოვლა, გამოყენება. მესაკუთრეს შრომის სურვილის გარდა მისი უნარიც ისე სჭირდება, როგორც შრომის იარაღი, ხელეწილი.

ამიტომაც მისთვის განმარტობა, შრომის უნარი არის წარმატების ერთ-ერთი უმთავრესი პირობა... გურამ გურგენიძე ექიმია, სპეციალიზირებული თერაპევტი. ნაყოფიერებად მუშაობდა, მაგრამ ახლა მას თბილისში ბევრი იცნობს, როგორც მანუალური თერაპიის მიმდევარს. წარმატებით მკურნალობს ხერხემლის სხვადასხვა დაავადებას. ავადმყოფს მწვავე ტკივილებს უწყურებს და ქირურგიული ჩარევის გარეშე უკვე რამდენიმე ასეული ადამიანი დაუმბრუნებია ცხოვრების ნორმალურ პირობებში.

ბატონ გურამს ვმადლიერებინ, მისი სჯერათ და იმედი ავით, რომ უთუოდ აღიდგენენ ჯანმრთელობას, შრომის უნარს. ისიც იმდენ არაა უცრემლი და ზედმეტი ხმაურის გარეშე აკეთებს უღირსად კეთილშობილურ საქმეს. ჩვენ მას სამუშაოზე შევხვდით. საუბარზე ხალისით არ დათანხმებულა - ზედმეტი ლაპარაკი ნამდვილად არ უყარს, მაგრამ რამდენიმე კითხვაზე მაინც გვიპასუხა.

**- ბატონო გურამ! რატომ გამოიცვალეთ პროფესია, რატომ გადადგით ასეთი ნაბიჯი?**

- ჯერ ერთი, მინტერესებდა მკურნალობის ეს მეთოდი, მეორეც - მოვხვდი ერთ კვირულ კარგ სპეციალისტთან, რომლის რეკომენდაციაზე აშშ-ს ანდის იმპროვიზირებული სსრკ-ს ერთობლივი საწარმოს მიერ მოწყობილი კურსები და შევიძინე გარკვეული ცოდნა, რომლის პრაქტიკული გამოყენება, ჩემი აზრით, უფრო ეფექტური და ნაყოფიერი მუშაობის საშუალებას მომცემდა.

**- რამდენი ხანია მანუალური თერაპიაში მუშაობთ?**

- უკვე ხუთი წელია. ისე კი თერაპევტად მუშაობის 21 წლის სტაჟი მაქვს.

**- რა არის მანუალური თერაპია, რა არის მისი არსი?**

- მანუალური თერაპია არის ხელი, აქედან გამომდინარე, ეს განსაკუთრებით მკურნალობს. ეს მეთოდი ადრეულ ეპოქაშიც კარგად იყო ცნობილი და მას ფართოდაც იყენებდნენ. როდესაც არ იყო სპეციალური ტექნიკა, ხერხემლის სხვადასხვა დაავადების დროს ავადმყოფს კომპლექსური სიმძიმით, კისრის ოსტეოქონდროზის დროს იყენებდნენ სპეციალურ მოწყობილობას, რომელსაც დაავადებულს თავზე ჩამოაცემდნენ და ასე დაკიდებდნენ ხოლმე. ერთი შეხედვით პრიმიტიული ჩანს, მაგრამ შედეგი კარგი ჰქონდა. მეც ეს ყველაფერი დაგავიწყდა და მთელი ყურადღება გადავიხარეთ ქირურგიულ ჩარევებზე, სხვადასხვა პრეპარატებზე, რაც ხშირად არ იძლევა სასურველ შედეგს.

**- ხერხემლის დაავადება დღეს უკვე საუკუნის ავადმყოფობად არის ქცეული.**

- ცხადია. ოსტეოქონდროზი არის მიმდევრული დაავადება, რომელიც აწუხებს მსოფლიოს მოსახლეობის 80 პროცენტს. ეს მონაცემი ოფიციალურია და სერიოზული გამოკვლევების შედეგებს ემყარება. ფაქტობრივად მას ვერაფერ გადურჩება, მაგრამ საჭიროა ექიმის კონსულტაციები და პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება. ვიცოცხლებ კარგ შედეგს მოგვცემს. მთავარია დაავადების დროული კისრის დაავადებების დროული გამოვლენა. ეს 20-25 წლის ასაკიდან იწყება და რეალურად ვლინდება 40-45 წლის და უფრო ხეობთ ასაკის ადამიანებში. მაშინ მისი მკურნალობა, ცხადია, უფრო ძნელია და ძალიან სერიოზულ მიდგომას მოითხოვს. სისხლძარღვების მოქმედება ნელდება, ირლევვა ნივთიერებათა ცვლა და რა პარალელურად უნდა იყოს, ამის თავიდან ასაცილებლად, 40-45 წლის ადამიანმა ძალიან აქტიური ცხოვრება უნდა დაიწყო.

სპეციალური ვარჯიშებია საჭირო, რაც ჩვენმა მოსახლეობამ მასობრივად ვერ კიდევ არ იცის. ამისთვის მისწრაფება სპორტული სექციები, სადაც დღეს, მართალია, პირობები არ არის, მაგრამ გამოსავლის მოძიება მაინც შეი-

ძლება, თუ კაცი მოინდომებს. ცივილიზებულ ქვეყნებში ეს საკითხი რთული გადასაწყვეტი არ არის. მაგალითად, აერობიკის, სექციებში ახალგაზრდებთან ერთად ხანდახან მრავალდღეობა შეხვედები.

რასაკვირველია, არსებობს მრავალი ისეთი მეთოდი, რომელიც დაავადებულს გვიხსნის მათ შორის, მე ყველაზე ეფექტურად ვთვლი ხერხემლის სპეციალურ ვარჯიშებს, ტრიალს, ღერძზე ჩამოკიდებას, სხვა ამგვარ აქტიურ მოძრაობებს, რომ ოსტეოქონდროზს ხერხემლის ბლოკირების საშუალებად მოვუშუალო. როგორც ნებისმიერ სხვა სახსარს, ხერხემალსაც სჭირდება განუწყვეტელი მოძრაობა. წარმოიდგინეთ, რომ ერთი წლის განმავლობაში არ გავანძროთ რომელიმე ხელი, რა მოუვა ხელის სახსრებს? გაჩერდებიან. იგივე ხერხემალსაც - ეს ორგანიზმის მამოძრავებელი ელემენტია.

სწორედ უმოძრაობა იწყებს ისეთ საშიშროებას, მათ შორის ბავშვებშიც, როგორცაა ქოლონი, კიფოზი და სხვა. ნახეთ, ქოლში რამდენი მხრებში მოხრილი ახალგაზრდა გოგო და ბიჭი დადის. ეს მოხრებიც ნაარვე ოსტეოქონდროზს იწვევს. ჩვენი ბავშვების 40-50 პროცენტზე სკოლოზიზირებულია. სკოლებში რომ სერიოზული გამოკვლევები ჩატარდეს, სკოლიზირებული ბავშვების რაოდენობა საერთო რიცხვის 60 პროცენტს გასცილდება. ცხადია, მათი მკურნალობა დროზეა საჭირო - 10-12 წლის ასაკში. ექიმთან კი ძირითადად 19-20 წლის ასაკის ანები მიდიან. ეს დაგვიანებულია და ხანგრძლივ მკურნალობას მოითხოვს.

საერთოდ, რა უცნაურიც უნდა იყოს, ხერხემალი ბუნების მიერ არ არის გათვალისწინებული ვერტიკალური გაშენებისათვის. ცოცხალი არსებების ამსოლუტური უმრავლესობის ხერხემალი ჰორიზონტალურ მდგომარეობაშია, უფრო აქტიურად იტვირთება და იქ დაავადებებიც ნაკლებია. სამაგიეროდ, ადამიანის მალთაშუა სივრცეზე ძალიან დიდი ზეწოლა ხდება. ამიტომაც იგი იოლად

ზიანდება და ეს ათასგვარ გართულებას იწვევს, მათ შორის წინის დარღვევასაც.

მე მინდა ძალიან ხმალოლა ვუთხრა ყველას, რომ ოსტეოქონდროზი არავითარ კავშირში არ არის მართლმართლ ოსტეოქონდროზი არის დისტროფიული ცვლილებები. წინაზარდებზეც იგივე შეიძლება ითქვას. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ძვლოვანია და არა მართლმართლ. ეს არის ორგანიზმის ბუნებრივი რეაქცია იმისათვის, რომ ხერხემალში როგორც გააშეშოს გალიზიანებული ადგილი, წინაზარდები ბოლოსდაბოლოს ერთდებთან და ხერხემალზეც შემდეგ. თუ ის მესამე ხარისხად ავიდა, მერე ყველაფერი ფუჭია, ვერაფერი ვერაფერს გააკეთებს, თუ ხერხემალს არ დაანაწევრებ, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია.

ოსტეოქონდროზის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე გართულება არის მალთაშუა რგოლების თიაქარი, რაც მერტად რთულ პრობლემად იქცა საქართველოში, მათ შორის, ცხადია, თბილისშიც. ამ დაავადების მქონე ადამიანებს, სამწუხაროდ, ძალიან ხშირად უსცემენ დიაგნოზს. - რადიკულიტის, იშიაშს, მკურნალობენ - სხვადასხვა მეთოდებით, რაც არავითარ შედეგს არ აძლევს. ავადმყოფს, დრო კი იკარგება. არა, სწორედ ეს დროა მთავარი. სხვაზე არაფერს ვამბობ. ამ დროის განმავლობაში ხდება ფეხის დაზიანება, ავადმყოფი უფროსილდება მტკიან ფეხს, რის გამოც დასუსტდება კუნთოვანი სისტემა, ძლიერდება ტკივილები და ადამიანი თავის მოკვლაც უიქრობს. ბევრ ავადმყოფს უთქვამს, რომ მერტი აღარ შეუძლია, მერტი ატანა არ ძალუძს.

ამ შემთხვევაში, თუ მანუალური თერაპია უძლური აღმოჩნდება, რჩება ერთი გზა - ქირურგიული ჩარევა, რაც, სხვათაშორის, წარმატებით ხორციელდება თბილისში, კერძოდ, ნევროლოგიის ინსტიტუტში, ოღონდ პაციენტი დროზე უნდა მოხვდეს მანუალური თერაპიის სპეციალისტთან ან აღნიშნულ ინსტიტუტში. შემთხვევით წამიანებთან და ექიმ-

ბამებთან სიარული საქმეს, ცხადია, გართულებას იწვევს. ცხადია, ადრე ერთი ვერ გამოასწორებს. უფრო დიდი საშიშროება არის ის, რომ ოსტეოქონდროზი ავადმყოფს არავითარ გამოკვლევას არ თხოვს სტრეზა ფეხი, წელი და მორჩა... იწყებს მკურნალობას. ეს მე დანაშაულად მიმაჩნია. აქვე მინდა ვთქვა, რომ ვისაც წელი სტრეზა, ის აუცილებლად უნდა მივიღოს ნევროლოგიის ინსტიტუტში, სადაც გამოკვლევა საგანგებო მეთოდებით წარმოებს და უტყუარი დიაგნოზიც დგინდება. ამას "უგულო" რენტგენული გამოკვლევა ვერ დააზუსტებს, ნამდვილ სურათს ვერ დახატავს.

ამიტომ აუცილებელია ინსტიტუტში გამოკვლევის ჩატარება, შემდეგ კი პაციენტის საქმეა ვის ან როდის მიმართავს დახმარებისათვის.


**- ბატონო გურამ, რამდენად აქ ჩვენი ვიცი, თვერ ახლა თურქეთში მიბრძანდებით. რა მიზნით?**

- იქ ორი წლის ვადით კონტრაქტი მაქვს დადებული და უნდა ვიმუშაო. ადრეც ვიყავი, მაგრამ ორ თვეზე მეტი ვერ გაემდო. თანაც ამჯერად თბილისში ბევრი პაციენტი დამრჩა, რომელთა მკურნალობა ვერ დავასრულე. ახლაც არ ვაპირებდი წასვლას, მაგრამ იქაური პაციენტები თბილისში მაკითხავენ, მაწუხებენ და მეც დაწყებული.

**- ეს ორი წელი სულ თურქეთში იქნებით?**

- არა. ორ-სამ თვეში ერთხელ ორი-სამი კვირით ჩამოვალ თბილისში და მაშინ ძველ პაციენტებსაც ვაკითხებ. ვეცდები გული არავის დაწყვიტო, ვისაც კი ჩემი იმედი ჰქონდა.

რ.ს.უთიძე



**ზომბაქმ** ადამიანს რაღაც უცნაური ემართება, ისეთი, რას ახსნა და გაგება არაანაირად არ შეუძლია. ხდება ხოლმე, რომ უბრალო ხმაურიც აზიანებს, ან უაზროდ ბევრს ჭამს, ან ისეთი განცდა აქვს, თითქოს რაღაც დაუღის ორგანიზმში... ასეთ განცდებს ადამიანი თითქმის სივიწმედე მიჰყავს.

მაგრამ ამ ქვეყანაზე ხომ არაფერი ხდება უზიანებლად, დიახ, ყველაფერს აქვს თავისი ახსნა, ან უნდა ჰქონდეს. არის შემთხვევები, როცა ასეთი უცნაური განცდების მიზეზების ახსნა არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს. ზოგჯერ კი მიზეზი მოუწყობილია, ის ჯერ კიდევ უცნობ, გამოუკვლევ სფეროს განეკუთვნება. ამ დროს, ჩვეულებრივ ლაპარაკობენ ორგანიზმში ქიმიურ ნივთიერებათა შეფარდების ცვლილებაზე, რაც იწყებს შეტყვნების გაორებას.

მეცნიერებამ დღეს ბევრ ადრე დაფარა, ჩვენს გონებისა და აზროვნების მიღმა მდგომს ახსნა ფარდა. დღეს აღარავის უკვირს ერთ დროს სენსაციური, ადამიანში ფარულად, ქვეშეცნული არსებული ექსტრასენსიბილი, ნათელმზილველობა, თუმცა ეს ყოველივე წინათაც იყო ცნობილი - ჯადოქრობისა და ჯადოსნობის სახელით, ოღონდ ამ სიტყვების ხმადალა თქმაც კი იკრძალებოდა. მთავარი მანაც ის არის, ადამიანი როგორ წარმოიქმნება თავის უნარებს - რას ამოირჩევს - სიკეთის მსახურებას თუ ბოროტების თესვას.

როგორც ჩანს, ძნელია საზღვარი დაუდო ადამიანის გინდ სიკეთეს და გინდ ბოროტებას, მით უმეტეს, თუ მას ადვილად ხელეწიფება ერთი და მეორეც. თუ კეთილია ქნაც შეუძლია და ბოროტისაც. ეს უკვე პიროვნებაზე, ინდივიდზე, მის მორალურ და ზნეობრივ სიწმინდე-უწმინდურობაზე ყოფილა დამოკიდებული.

გაჭირვებული ადამიანი ხშირად მიმართავს ექსტრასენსიბი. იმედი აქვს, რომ ეშველება, ტკივილისაგან განთავისუფლდება. ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ტკივილი შეიძლება ფიზიკურიც იყოს და სულიერიც. აი, სწორედ ამ უკანასკნელზე ამახვილებენ ყურადღებას ის ექსტრასენსიბი, რომლებსაც სწორედ ფიზიკურად ჯანსაღი ადამიანი სჭირდებათ. დიახ, სჭირდებათ თავიანთი ბოროტი განზრახვის აღსასრულებლად, - ერთის ქებისა და მეორის გამოვანძობისათვის, რა თქმა უნდა, ანგარებით, პირადი გამდიდრების მიზნით.

მადლობა ღმერთს, ჩვენში ასეთ შემთხვევებს ვერ ცხადვით მანაც არ უჩნია თავი. მაგრამ რუსული პრესის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იქ ძლიერ გახშირდა ექსტრასენსიბორთა უნარის ბოროტად გამოყენების შემთხვევები...

## აურა და ფულზე გაყიდული სული

ვალთადა, თირკმელს თავისი აურა ჰქონია, ღვიძლს თავისი და ასე შემდეგ, ადამიანის ერთი ორგანოს აურის წაგვრა და მისი მეორე ადამიანის ორგანოსთვის გადაცემა შეუძლებელი ყოფილა. მკითხველს შეიძლება ეს ამბავი ნამდვილად "დაუჯერებელი" ეგონოს, მაგრამ ფაქტები დადასტურებ, ფაქტები ამტკიცებენ...

მოვიყვანო ერთ-ერთი ექსტრასენსიბი ნამბობს. ეს ვახლავთ ნინა ევგენიენა გასევეა, რომელსაც ექსტრასენსიბის ოცდარეზი წლის სტაჟი აქვს. ნინა ევგენიენა ამტკიცებს, რომ შესაძლებელია ადამიანის ორგანოს ტრანსპლანტაცია ასტრალურ დონეზე. და თან დასძინს, აბა, თქვენს აზრით, სხვას რას უნდა ნინაზედ სიტყვები "მკურნალობა ყველა დაავადებასო"?

თურმე, ნუ იტყვით და, ეს ჩვენი ექსტრასენსიბი, უფრო სწორი იქნება თუ მათ ვაძლევთ ვუწოდებთ (იმ-იტომ რომ ჩვენ მართლაც ბევრ პაციენტს, ადამიანს სიცოცხლისთვის უანგაროდ თავდადებულ ექსტრასენსიბ ვიცით, და ამ წერილში, რა თქმა უნდა, მათზე არ არის ლაპარაკი) თავიანთი პრაქტიკის დროს ახდენენ მთავარი კლიენტებსა და მსხვერპლთა შერჩევას. და ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ფულსათვის.

ფასები თურქულ სულ სხვადასხვანაირია. მაგალითად, ღვიძლის ასტრალური გადანერგვა თქვენსმეტადან ოცი ათას დოლარამდე ღირებულა. თუმცა, ამბობს ნინა ევგენიენა, დასავლეთში გაცილებული სამოთხეჯერ უფრო ძვირი ფასებითა, იქ შეფარდება ერთნაირი ყოფილა - რამდენსაც ქირურგიული ჩარევა უნდა იქნება, იმდენსაც ასტრალური გადანერგვის მსურველი ყოფილა. რუსეთში ათიდან სამი ბრევეს ტრანსპლანტაციის ასტრალურ ვარიანტს, ფედი კი - ქირურგიულს.

რუსეთში ასეთი პრაქტიკა, თურმე კარგა ხანია, ბრუნების დროიდან არსებობს. მაგრამ ეს ყიდვა-გაყიდვა

(ადამიანის ორგანოს ტრანსპლანტაცია იგულისხმება) ღრმად არის გასაიდუმლოებული.

მაინც როგორ ხდება, ვთქვათ, გაყიდული ღვიძლის ასტრალური და არა ქირურგიული გადანერგვა?

ჯადოქარი (ექსტრასენსიბი) ჯანმრთელ ადამიანს ნებით (როცა თვითონ თანხმად გაყიდოს) ან უნებართვად (ეს უკვე ნამდვილი ყაზაა) ათმევეს, ამ შემთხვევაში, ღვიძლის აურას. მაგრამ მას რამდენიმე დღე ინახავს "ასტრალში". ეს თურმე აუცილებელია სხვა ორგანოებთან წინადადებული ქირურგიული კავშირის "გადასატყობად". სხვა შემთხვევაში ორგანიზმი არ მიიღებს ტრანსპლანტანტს, როგორც უცხო ორგანოს, უცხო სხეულს...

საინტერესოა ქალბატონი ექსტრასენსიბის შედეგი განმარტებაც. თურმე ასტრალური ქურდობა, ე.ი. მსხვერპლი-ადამიანისათვის რომელიმე ჯანსაღი ორგანოს აურის მოხსნა, წართმევა, თუ ვნებათ, მოპარვა, ვთქვათ, მეტროში ან ავტობუსში მხოლოდ თეორიულად არის შესაძლებელი. ამისათვის თურმე ჯადოქარმა ყოველდღიურად 16-ჯერ უნდა იმეზავროს "მსხვერპლის" გვერდგვერდ. თანაც თითოჯერ თითო საათი მაინც. რაც მთავარია, შეუძლებელია შეუმჩნეველი დარჩეს ექსტრასენსიბის ხელის მიმართულია. ამიტომ ყველაზე რეალური გზა "ჯენტლმენური" მეთანხმება ყოფილა ორგანოს გაყიდვის მსურველს და ექსტრასენსიბის შორის, ავადმყოფსაც სჭირდება ეს ორგანო გადამფიქსიისათვის ასტრალური გზით გადასანერგად.

მაგრამ რა ემართება საკუთარი ორგანოს "მოდელტელს"? საბოლოო ჯამში, როგორც ყველა მოღალატეს ღმერთი და ბუდი სჯის და აურამოსხნადი ორგანოს პატრონი, რა თქმა უნდა, სიცოცხლეს იმეკლებს. ის შეიძლება ერთ წელიწადში გარდაიცვალოს, შეიძლება სიცოცხლის წლები 10-15-20 წლით შემცირდეს.

თურმე აურის მოხსნა უფრო ადვილი ყოფილა, ვიდრე ტრანსპლანტაცია. ექსტრასენსიბი პირველ რიგში უნდა მოახერხოს, რომ დაავადებული ღვიძლის ქირურგიული მანქანადა დაბალ დონეზე დაიყვანოს, რათა ახალი აურა "სწეულაში" არ ჩანერგოს.

ასეთი საქმიანობის ასპარეზზე ყველაზე უფრო ფანტასტიკური, ნინა ევგენიენას თქმით, არის შემთხვევები, როცა ამომავალი პოპ-ვარსკვლავების პროდუსერები ითხოვენ თავიანთი ქვეშევრდობისათვის "12-14 წლის გოგონების სულს... სასურველია გოგონების პროპინციტიად ახალი ჩამოსულები იყვნენ.

რა, პოპ-ვარსკვლავებს თავიანთი სულთა არ გაჩნდიათ? - იკითხავს ალბათ მკითხველი.

ამის პასუხიც მზადა აქვს ნინა ევგენიენას.

მთუ-ნიშნენი ისეთი ტემპებით მიიწევს წინ, რომ დღეს მრავალსაფეხურიანი კომპიუტერული განვითარებით დგინდება ცენტური სახის იმიჯ-რუბები (გარეგნობის, ექსტრის, ქცევის, "სკანდალების", წარსულის, მითების და ა.შ.) 12-14 წლის გოგონების სულების ინვლანტაცია წარმატებას უჭიდის ამა თუ იმ უნიჭოს და ათმაგად ანაზღაურებს მასზე დაზარალებულ თანხას...

მთელი ამ თავზარდამცემი ამბებიდან, ჩვენის აზრით, ყველაზე უფრო საშიშველი მანაც ის არის, რომ რუსეთში ასეთი გოგონები იმოწინებენ... გოგონები, რომლებიც ეშმაკს მიჰყიდნან სულს, ოღონდ მეტი ფული "გააკეთონ"!

სამწუხაროდ და სავალალოდ ეშმაკები მრავლად იარებიან ამ ცოდვილ ღემამიწაზე. ღმერთო, ავაგაზორე ასეთი ცოდვა და ცოდვის ჩადენიცი, ეშმაკნიც და მათთვის საკუთარი ორგანობისა თუ სულის მიმყიდველიც... ღმერთო, გვიხსენი!

ია მებრძველი

### ინფორმაცია

#### რუსეთი

#### კოლექსიონი ახალი სტატია უმეტესად

სამგზავრო ქვეთრების გავრცელებაში ყალბობა და სავაჭრო საშიში სახე მიიღო. ამიტომ მასთან ბრძოლის გასაძლიერებლად რუსეთის სისხლის სამართლის ახალ კოდექსში, რომელიც მომავალი წლიდან ამოქმედდება, შეტანილია შესაბამისი სტატია. მის თანახმად პლასტიკისაგან ყალბი ბილეთების დამამზადებელი და გამსაღებელი დაისჯება თავისუფლების აღკვეთით 2-დან 6 წლამდე ან დაჯარიმდება საშუალო ხელფასის ხუთასი-შვიდასი პროცენტის ოდენობით (შესაბამისად 38 და 53 მილიონი რუბლი).

#### გააოვლენილია ყალბი ბარანტიები

მოსკოვში გამოავლინეს ელექტრობანკის ყალბი ვარანტიები. ცენტრალური ბანკის მთავარმა სამმართველომ განაცხადა, რომ ასეთი რამ მას არ გამოუშვია და გააფრთხილა კომერციული ბანკები, მათი კლიენტები, რომ ყურადღებით მოეციონ ასეთ ვარანტიებს, რათა ყალბობა დაუბის მახეში არ გაეზან.

#### დრო მართლაც უფრო დიდს

ამ გამონათქვამის სისწორეში ყველაზე მეტად არიან დარწმუნებულნი საქმიანი ადამიანები. ამიტომ მათთვის დიდი საჩუქარი იქნება ექსპრესი "სოკოლი-250", რომელიც საათში 200-250 კილომეტრის სიჩქარით ივლის მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგს შორის. იგი ამ მანძილს 2 საათსა და 25 წუთში დაფარავს. "სოკოლი" შედგება 12 ვაგონისაგან, გათვალისწინებულია გურისტული და ბიზნეს-კლასით მოგზაური 200 ადამიანისათვის.

#### ექსპრეს-ინფორმაციისა და სასწრაფო ტვირთისათვის

მსოფლიოში უდიდესი კორპორაციის "Federal Express"-ის თვითმფრინავებმა მოსკოვი დააკავშირეს ჩრდილოეთ ამერიკის, დასავლეთ ევროპისა და აზიის სახელმწიფოებთან. ისინი გადაიტანენ ექსპრეს-ინფორმაციებს და სასწრაფო გვირგვინს. ეს კორპორაცია პირველია რუსეთში, რომელიც იყენებს საკუთარ საბაჟო საწყობებს და სამამულო წარმოების თვითმფრინავებს.

#### პრემია - 21 ათასი დოლარი

პრემიადენგ ბორის ელცინის ბრძანებულებით დაწესდა გ.კ.ეკოვის სახელობის პრემია 21 ათასი დოლარის ექვივალენტური რუბლით. იგი გადაეცემა მათ სამხედრო მეცნიერების, ახალი საბრძოლო ტექნიკის შექმნაში წარჩინებულ საქმიანობებს, აგრეთვე ლიგერ-აგურისა და ხელოვნების მუშაკებს, რომლებიც სამხედრო თემაზე შექმნიან საუკეთესო ნაწარმოებს.

### 10 ათასი დოლარი საუკეთესო სცენარისტისთვის



რინარდ გირმა კორპორაციის - "Gere Production"-ის სახელით პრიზად 10 000 დოლარი დააწესა აღმოსავლეთის ქვეყნებში გამართულ კონკურსში გამარჯვებული სცენარისტისთვის. კონკურსის გამარჯვებული მიიღებს ამ სცენარით სურათის დასაფინანსებელ თანხას და, როგორც ამბობენ, ანგარიშმა შეიძლება მილიონობით დოლარს მიადგინოს. უკანასკნელად ასეთი კონკურსი 1993 წელს ჩატარდა და მშინ საუკეთესო სცენარად აღიარებული იყო არიფ ალიევის "გამოსასყიდი".

#### ხელმოწერა

დასავლეთ ინგლისში, კერძოდ, ლინკოლნშირში გამართულ აუქციონზე 3 750 დოლარად გაიყიდა აკვარელი, რომელიც შესრულებულია... პიტლერის მიერ. აკვარელი აღმოაჩინეს ჰამბურგში 1945 წელს, სახლში, რომელიც დაბომბვის დროს დაინგრა. ნახატი დიდხანს დაკარგულად ითვლებოდა. და აი, სულ ცოტა ხნის წინათ, სრულიად შემთხვევით მიაგნეს - შესაძლოა რეიხის სხვა დოკუმენტებთან ერთად ლინკოლნშირის ერთ-ერთ სახლში საწოლის ქვეშ შემალულ ჩემოდანში. სურათი დათარიღებულია 1931 წლით (ეს სწორედ ის პერიოდია, როცა მომავალი ფიურერი წარუმატებლად ცდილობდა მხატვრობისთვის მოეკიდა ხელი) და მასზე აღბეჭდილია კენის ერთ-ერთი მოედანი, სურათს აქვს ავტორის ხელმოწერა - A. Hitler.

#### ბოროტი პეპი

ამბობენ, თითქოს პარიზის ცნობილმა საიუველირო სახლმა "Van Ceef & Arpels"-მა 300 ათასი დოლარი გადაუხადა შარონ სოთუნს იმ საღამოზე დასწრებისათვის, რომელიც გაიმართა ფირმის დაარსების 100 წლისთავის აღსანიშნავად. თუმცა, ფირმის წარმომადგენელი ამტკიცებს, რომ ეს მხოლოდ ინსინუაციაა, და რომ შერონისთვის ფული არავის მიუცია. ოღონდ ეგ იყო, რომ მშვენიერ ქალბატონს საყურეები და ყელსაბამი ვაჩუქეთო. ვახშიში სახელგანთქმულ ოტელ "Ritz"-ში ჩატარდა. შარონ სოთუნსი საღამოზე მოვიდა თავის დასთან კელისთან ერთად და საპატიო მაგიდასთან დაიკავა ადგილი. იმავე მაგიდასთან იჯდა კლაუდია კარდინალეც. სტუმრებთან სოთუნმა სულ ხუთი წუთი დაჰყო, შემდეგ მაკაიუს შესასწორებლად გავიდა და... უკან აღარ დაბრუნებულა.



### კ ა ნ ო რ ა მ ა

#### უელბერნის მუზეუმი ჰეიდის დეგასა და მანეს უედეკრებს

ნიუ-იორკში "Sothby's"-ის აუქციონზე გამოიგანეს იმპრესიონისტთა ნამუშევრები ჰედე-მეიერთა ცნობილი კოლექციიდან. ხელოვნების ისტორიკოსები დიდი ხანია იცნობენ ამ ნაკრებს, დამთვალიერებელთა დღევანდელი თაობა კი მას მხოლოდ 1993 წელს გაეცნო მეტროპოლიტენ მუზეუმში მოწყობილ გამოფენაზე.

ჰედემეიერთა ოჯახმა სახელი გაითქვა იმით, რომ სხვა ამერიკელებზე უფრო ადრე დაიწყო იმპრესიონისტთა ნამუშევრების შექმნა. ლუიზა ვოლდონ ელდერმა (გათხოვების შემდეგ ჰედემეიერთა) პარიზში იყიდა პირველი დეგა და პირველი მანე. ეს მოხდა 1875 წელს, როდესაც ამ დიდი მხატვრების ფერწერა თავისი რევოლუციურობით იუთი ფრანგებსაც კი აფრთხობდა. მაქრის მაგნატი გატაცებული იყო ხელოვნების ნიმუშთა კოლექციონერობით. მაგრამ მას ძველი ოსტატების მძიმე მოთქროულ ჩარჩოებში ჩასმული ფერწერული გილოები მოსწონდა. მართალია, მას ყველაფერს პოლანდიელი, ესპანელი თუ XIX საუკუნის ფრანგი მხატვრები ერჩივნა, და მოღერნისგან ყურადღების ღირსად არ თვლიდა, მაგრამ იმდენად უყვარდა თავისი მეუღლე, რომ მაინც გაგებით მოეკიდა მის სურვილს და ფული არ დაუბოგია. ვინც მათ სახლში ყოფილა, პარკავენიუმზე, ნიუ-იორკში ყველა გაოცებული იყო რემბრანდგისა და დეგას გენიალურად შესრულებული ნახაგებით.

ხელოვნებისადმი სიყვარული ჰედემეიერთებმა გადასცეს თავიანთ ქალიშვილს ელექტრას, რომელიც მომავალში გახდა უელბერნის სამხატვრო მუზეუმის ფუძემდებელი. მუზეუმის ფონდებშია 60 ათასზე მეტი ნა-



მორალური ზარალის ასანაზღაურებლად 100 ათას დოლარს თხოვლობს მსახიობი ქალის ყოფილი მეუღლე ფაკ შარიე. ამას გარდა, იგი მოითხოვს შეჩერდეს წიგნის "ბი-ბი"-ს გაყიდვა, რათა ამოღებულ იქნას მისი მაკომპრომიტირებული გვერდები. საქმე ის გახლავთ, რომ ბრიჯიტ ბარდო ამ წიგნში თავის ყოფილ მეუღლესთან ცხოვრებას აღწერს, როგორც ნამდვილ ჯოჯოხეთს, თვითონ მას კი "დეპრესიულ და ავტორიტარულ ტირანს" უწოდებს. შარიე ამას ყოველთვის მის პირად ცხოვრებაში "უცერემონიო ჩარევად" მიიჩნევს.

### ბრიჯიტ ბარდოს ყოფილი მეუღლე



ბევრს საერთოდ უარს ათქმევინებს დაოჯახებაზე. იაპონელ ჰაბუკუთა მხოლოდ 67 პროცენტი არ კარგავს იმედს, რომ ოდესმე შეძლებს ოჯახს მოეკიდოს.

#### თუ დაგაკვირდით...

ცხოველები ხშირად საოცარ გაკვეთილებს გვაძლევენ. ვინც დაკვირვებია, უსათუოდ შეამჩნევდა, რომ ძაღლები ვერ იგანენ ოჯახში ჩხუბს, ფუტკრის მთელი ოჯახი აიყრება და სხვაგან გადასასვლდება. ბაგები პატივმოყვარეობით გამოირჩევიან და სასტიკად უსწორდებიან პატრონებს ღირსების შელახვისათვის. თუთიყუშები ხომ ამკარა ირონიით იმეორებენ პატრონის, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელო გამოთქმებს. მღვის ცხოველებს კი ძალიან სურთ გაიგონ, რას ფიქრობენ მათზე ადამიანები...

#### ვინმორელთა სამომავლოდ



დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჯონ მეიჯორმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილია წელიწადში 15,8 მილიონი დოლარი დაეთმოს ინგლისის დედოფალ ელისაბედ II-ს და მის სამეფო ოჯახის წევრებს გაერთიანებულ სამეფოსა და სხვა ქვეყნებში სამოგზაუროდ. დედოფალი და მისი ოჯახის წევრები წელიწადში 3 ათას ოფიციალურ გასვლას აწარმოებენ. აღნიშნული თანხა დასჭირდება მისი უდიდებულესობის თვითმფრინავებისა და ავტომობილების პარკის მოვლა-შენახვას.

# მსოფლიო აკრონიკა

## კლინტონი უტავს ამერიკის სოცურ უწყველობის სისტემას

აშშ-ში ამერიკული ოჯახებისათვის არსებული ფედერალური სოცურ უწყველობის პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა სახის დახმარებები წელიწადში 77 მილიარდ დოლარს შეადგენს. აღნიშნული თანხა შემდეგნაირად ნაწილდება:

- დახმარება ნაკლებად უწყველყოფილი ბავშვების ოჯახებისათვის - 12,8 მლნ. ადამიანი; ფედერალური ბიუჯეტს უჯდება 22 მილიარდი დოლარი წელიწადში;
- სასურსათო ტალღების პროგრამა - 26 მლნ ადამიანი; ჯდება 29 მილიარდი დოლარი;
- მოხუცი ღარიბებისათვის დამატებითი სოციალური დახმარების პროგრამა - 6,5 მლნ. ადამიანი, 26 მილიარდი დოლარი.

ჯერ კიდევ 61 წლის წინათ აშშ-ს პრეზიდენტმა ფრანკლინ რუზველტმა ნამდვილი რევოლუცია მოახდინა ამერიკაში, როდესაც უდალავთ კაპიტალისტური სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად პრინციპს (საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პროცესის რეგულირებაში ჩაურევლობა) და ახალი რეფორმების კურსის გატარება დაიწყო. რეფორმების პერიოდში წარმოიშვა სოცურ უწყველობის სისტემა "Welfare". რომელმაც მცირეოდენი ცვლილებებით ჩვენს დრომდე მოაღწია. მისი გამართლებული არსი შემდეგია: "თუ თქვენ ღარიბი ბრძანდებით და შემოსავლის წყაროები არ გაგაჩნიათ, მაგრამ ხართ არა ემიგრანტი, არამედ ამერიკის მოქალაქე, აშშ არავითარ შემთხვევაში უურადლებების გარეშე არ დაგტოვებთ". ყურადღების მიქცევამ კი იფულისხმება ხელისუფალთა არც თუ ისე დაუინტერესებლობა, რომ გათავისუფლებული მოსახლეობა, რომელიც კვლავ იმყოფება იმდენივე სამუშაო ან შემოსავლის საკუთარი წყარო. სამწუხაროდ, მთავრობას აქამდე არ ჰქონდა იძულებითი მექანიზმის გამოყენების უფლება. სწორედ ეს განაღდა ე.წ. "სოციალური მუქათარობის წარმოშობის მიზეზი, მილიონობით ამერიკელმა აღმოაჩინა ის პრინციპი, რომელიც მრავალი ათეული წლის განმავლობაში კარგად იყო ცნობილი ყოფილ საბჭოთა კავშირში: "უმჯობესია გქონდეს გარანტირებული მინიმუმი და არაფერი აკეთო, ვიდრე იმუშაო და გქონდეს საშუალება მიიღო გაცილებით მეტი შემოსავალი (რა თქმა უნდა, ამერიკაში უმუშევარსა და მომუშავეს შორის საკმაოდ დიდი სხვაობაა ფინანსური მდგომარეობის მხრივ). საბოლოოდ, აშშ-ში უსაქმრობის ფსიქოლოგიის ხელშეწყობამ გამოიწვია, ასე ვთქვათ, ფასეულობათა გადაფასება. უკეთესია იყო შავკანიანი მრავალშვილიანი მარტოხელა დედა, ვიდრე თეთრკანიანი ანგლოსაქსონური წარმოშობის ნორმალური მამაკაცი. რაც მთავარია, არსებული სოცურ უწყველობის სისტემა იწვევს ბიუჯეტის კოლოსალურ დეფიციტს და არ ამ-



ცირებს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრებ ამერიკელთა რაოდენობას (დღესდღეობით ამერიკაში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მოსახლეობის 14,5% ცხოვრობს). 12,8 მლნ დახმარების ხარჯზე მცხოვრებ ადამიანებს ემატება 26 მილიონი სასურსათო ტალღების (food stamps) მიმღები (ეს ტალღები შეიძლება დასაქონლდეს იაფფასიან სუპერმარკეტებში, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში გარკვეული თაღლითური ოპერაციებით ამ თანხის გაცეცხლებაც შეიძლება, რაც, რა თქმა უნდა, აკრძალულია). სოციალური დახმარების მიმღებთა 37% შავკანიანია, თუმცა ისინი აშშ მოსახლეობის მხოლოდ 6%-ს შეადგენენ, 38% თეთრკანიანია, 19% - ესპანური წარმოშობის და კიდევ 5% საერთოდ არაამერიკელი მოქალაქენი (ე.წ. მუდმივი რეზიდენტები). დახმარების ორი მესამედი ბავშვებზე მოდის, რომელთა ნახევარზე მეტი ქორწინების გარეშე გაჩენილი, ხოლო ერთი მესამედის მამების ვინაობის დადგენა საერთოდ შეუძლებელია. 20% ამ ბავშვების დედები თვითონ მცირეწლოვანები არიან (პირები, რომლებსაც 21 წელზე ნაკლები ასაკი აქვთ).

სხვადასხვა შტატებში დახმარების ოდენობა განსხვავებულია. მაგალითად, 1994 წ. მისისიპიში საშუალოდ ოჯახი იღებდა 120 დოლარს სულზე (სასურსათო ტალღების ჩათვლევად). ალიასკაში იგივე ოჯახი უკვე 930 დოლარს იღებდა. საშუალოდ მთელი ამერიკაში დახმარება 375 დოლარს შეადგენს.

პრეზიდენტ კლინტონის მიერ დაგეგმილი აშშ-ს სოცურ უწყველობის სისტემის რეფორმის ძირითადი არსი ასეთია:

- შრომისუნარიანი მოქალაქენი ვალდებული არიან, დახმარების შეწყვეტის საშიშროების გამო იშოვონ სამუშაო დახმარების მიღებიდან არა უგვიანეს 2 წლის ვადაში. მთელი ცხოვრების განმავლობაში პიროვნების მიერ დახმარების მიღე-

ბის ჯამური ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს.

- შტატების ხელისუფალთ უფლება აქვთ უარი უთხრან დახმარება შეწყვეტილ პირებს შედაგაიან სამედიცინო მომსახურებაზე (medicaid-ის პროგრამის ფარგლებში), თუ პირებმა დაკარგეს დახმარება იმის გამო, რომ არ სურთ ან არ გააჩნიათ მუშაობის სურვილი;
- შეკვეცილი იქნება ფედერალური დახმარების პროგრამები ლეგალური ემიგრანტების მიმართ, როგორც აშშ-ს მოქალაქეობის არაქონებიათ;
- შრომისუნარიან 18-დან 50 წლამდე მოქალაქეებს, თუ მათ კმაყოფილება ვინმე იმყოფება, ფედერალური პროგრამის ფარგლებში მიეცემა დახმარება სასურსათო ტალღების სახით, არა უმეტეს 3 თვის ვადისა და 36 თვის განმავლობაში მხოლოდ აღნიშნული პირების უმუშევრობის შემთხვევაში;
- შტატების ხელისუფალთ უფლება აქვთ შეუზღუდონ სოციალური პროგრამით გათვალისწინებული დახმარება მცირეწლოვან დედებს, თუ ისინი არ ცხოვრობენ ოჯახში და არ სწავლობენ სკოლაში;
- შტატები იღებენ ფედერალურ ხელისუფალთა მიერ გამოყოფილ გრანტებს (პრემიებს) საკუთარი სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად.

საბოლოოდ 2000 წლისათვის 20% იმ პირებისა, რომლებიც ამჟამად იღებენ სოციალურ დახმარებას დაკარგავენ მას (ზოგიერთთა შეფასებით ასეთი პირების რიცხვი 50% გადაჭარბებს). ეს მოქალაქენი იძულებულნი გახდებიან უკვე ამჟამად ექვზონ სამუშაო. ერთი სიტყვით, აშშ მთავრობას იმედი აქვს, რომ ადამიანები უფრო აქტიურად დაიწყებენ საკუთარი ოჯახების გამდიდრებისა და კეთილდღეობისათვის ბრძოლას. ენახოს, როგორ შესძლებს ხელახლა არჩეული პრეზიდენტი დასახული პროგრამის განხორციელებას.

დათო ტაბატაძე

# შრომა, ფული და ქალაქი

ამერიკელები ამტკიცებენ, ლოს-ანჯელესის სიგრძობით მსოფლიოში ყველა ქალაქს აჭარბებსო. ეს შეგაპოლისი ოთხმოცდაშვიდ ერთმანეთში შეზრდილ ქალაქს აერთიანებს. ექვს მთავანს, მათ შორის ბევრლი-ჰილსსაც თავისი საკუთარი კანონმდებლობა აქვს, საკუთარი მერები და საკუთარი პოლიცია ჰყავს.

ლოს-ანჯელესმა არ იცის რა არის ზამთარი, ოღონდ ზამთრობით ქალაქის პალმებს განსაკუთრებით მოეძალებათ ციფები, სალამოს სითბოში კი ვარდების ბუჩქებს კოლიბრები დაფარვატებენ. ქალაქის ცენტრში ღამით თავისუფლად შეიძლება შეხედეთ ამერიკის ძირძველ მკვიდრს - მჭრალ სკუნსს. ეს ცხოველი მშვიდობიანია, არავის ერჩის, ყურადღებასაც კი არ აქცევს ტურისტთა ჯარებს, რომლებიც ქალაქის ბიუჯეტს ყოველწლიურად შვიდი მილიარდი დოლარით ავსებენ. მსოფლიო გასართობი ინდუსტრიის ოთხმოცდაათი პროცენტი ლოს-ანჯელესშია თავმოყრილი.

და მაინც, ლოს-ანჯელესის სახელი და დიდება, პირველ რიგში, მსოფლიო კინოინდუსტრიას უკავშირდება. პოლიუდ-ბუღვარის ბეტონის ტროტუარში სამარადიანოდაა ჩაბეჭდილი ნახევარმეტრის ბრინჯაოს - "მოუბიზნესისა და კინოს სახელიანი ვარსკვლავები. აქ არიან მერიონ მონროც, ელვის პრესლიც, ჯონ ლენონიც და კიდევ ასობით გამოჩენილი პირი.

ბუღვარის შუაში, რომელიც კილომეტრობით სიგრძეზეა გადაჭიმული, რუხვლტ-ორტელში ერთმანეთის გვერდითაა ჩარლი ჩაპლინის მუზეუმიც და პოლიუდის ისტორიის გამოვენაც.

პოლიუდ-ბუღვარის გადასწვრივ ჩინური თეატრია წამომართული. რატომ აუშენებია არქიტექტორს თეატრი წმინდა ჩინურ კლასიკურ სტილში? ალბათ, ასე მოესურვა და იმტომ. პირველად სწორედ აქ დაიწყო "ოსკარის" - ამერიკული კინოაკადემიის ყე-

ლაზე პრესტიჟული პრემიის დაჯილდოება. მას შემდეგ ვანკუვერში, ჟენევის ტერიტორიაზე სტოკჰოლმის ხელმოწერებს, და ამგვარად ეს ადგილი ავტოგრაფების ყველაზე დიდ ალბომად იქცა ლია ცის ქვეშ.

კინოს მიმართ გულგრილი ადამიანებიც კი, ლოს-ანჯელესში თუ მოხვდებიან, აუცილებლად შეივლიან სტუდიასში. ეს ერთ-ერთი მთავარი ღირსესანიშნავი ადგილია ელემში, როგორც სიყვარულით უწოდებენ თავის ქალაქს აქაურები. კინოკომპანია "იუნივერსალს" ანალოგი არ მოეპოვება მსოფლიოში. იგი ორ მთავრეხილ შორის გადაჭიმულ ველზე მდებარეობს და რამდენიმე დონე უკავია. აქ გადაღებული ბევრი ფილმი მსოფლიო კინოს კლასიკად არის ქვეული.

ამბობენ, ბოლო ხანებში ყოფილმა საბჭოელებმა ამერიკული კინოვარსკვლავებისაგან ვიღები შეიძინეს ბევრლი-ჰილსში. საერთოდ კი, ათასი ჯურის მილიონერთა საყვარელი ადგილებია სანტა-მონიკასა და მალბუს კურორტები. ესეც ლოს-ანჯელესშია. განსაკუთრებით პრესტიჟულად ითვლება ოკეანის პირას მდგომი ვილები. პლაიაი ასეულობით კილომეტრზეა გადაშლილი.

ცოტა მოშორებით, მდინარე ვენტურას ველზე მონტესიტოს ჩანჩოა. ის ცნობილია, როგორც ძლიერთა ამა ქვეყნისათა თავმჯდომარის ადგილი. აქ ცხოვრობს მიკელ ჯეკსონიც...

ლოს-ანჯელესი თვალნათელ სურათს იძლევა იმისა, თუ რა შეუძლია ადამიანს, რომელსაც მიზანი დაუსახავს და ყველაფერს აკეთებს მის აღსასრულზელად. სწორედ მიზანდასახული თაობების შემოქმედებითაა შრომამ შექმნა ეს საოცარი, ნათელი, მზიანი და... მდიდარი, დიან, ერთ-ერთი უმდიდრესი ქალაქი. ასეთ ქალაქში კი სწორედ მდიდრები ცხოვრობენ.

ვიალა კალაპი

## გალუტის ოფიციალური კურსები

(დსთ გალფიზიკრებით)

რესპუბლიკა (ვალუტა)	IS	ცვლილება	რუს.რუბ. 1000	ცვლილება
აზერბაიჯანი(მანათი)	4175.0	-18	770	0
სომხეთი(დრამი)	419.65	+3.69	76.6	+0.45
ბელორუსია(ბელ.რუბ.)	14900.0	+100	2730	0
საქართველო(ლარი)	1.27	0	0.225	0
ყაზახეთი(თენგე)	69.25	+0.1	13.6	0
ყირგიზეთი(სომი)	14.3	+0.4	2.6287	+0.0707
ლატვია(ლათი)	0.555	-0.002	0.102	-0.0003
ლიტვა(ლიტი)	4.0	0	0.7354	-0.0007
მოლდოვა(ლეი)	4.6127	+0.0072	0.845	0
რუსეთი(რუბლი)	5442	+8	-	-
ტაჯიკეთი(ტაჯ.რუბ.)	298	0	56.0	0
თურქმენეთი(მანათი)	4055.0	-5	745.82	-0.54
უკრაინა(გრინა)	1.7882	+0.001	0.327	0.001
უზბეკეთი(სუმი)	43.80	+3.70	8.05	+0.67
ესტონეთი(კრონა)	12.1568	-0.1528	-	-

## ყვარი ვალუტის კურსები

	აშშ	ინგლ.	შვეიც.	100 იაპ.	1000 იტალ	გერმ.	ფრანგ.
ფრანგული ფრანკი	5.1361	8.1774	4.0853	4.5426	3.2666	3.3775	-
გერმანული მარკა	1.5207	2.4211	1.2096	1.3449	0.9968	-	0.2960
იტალიური ლირა	1525.6	2428.9	1213.5	1349.3	-	1003.2	297.03
იაპონური იენა	113.06	180.02	89.974	-	74.113	75.353	22.014
შვეიცარ. ფრანკი	1.2572	2.0017	-	1.1119	0.8241	0.8267	0.2447
ინგლისური გირგ.	0.6280	-	0.4995	0.5555	0.4117	0.4130	0.1222
აშშ დოლარი	-	1.5921	0.7954	0.8844	0.6555	0.6576	0.1947

## საემსპორტო სამსახური თამისებურად ფიარობდა

ზოგიერთ სფეროში მოხდა ხარჯების გადაჭარბება (თავდაცვა, კაპიტალური ხარჯები, ადგილობრივი მმართველობის ხარჯები), გაიზარდა აგრეთვე სახარჯი დაავალიანება. სახსრების სათანადო მართვა იმით არის გახსენებული, რომ მრავალ საბიუჯეტო ორგანიზაციას მნიშვნელოვანი თანხები აქვს დაგროვებული კომერციულ ბანკებში, ფინანსთა სამინისტროს უშუალო ზეგავლენის მიღმა. საერთო ხარჯებმა და წმინდა დაკრედიტებამ, როგორც ამჟამად არის დაგეგმილი, უნდა მიაღწიონ მშპ-ის 13,6 პროცენტს, ნაცვლად თავდაპირველი 12,7 პროცენტისა. გადასახადების შეგროვება ნაგარაუდევრე ნაკლები აღმოჩნდა და 1996 წლის გადასახადების მკერე-

ბის საორიენტაციო მაჩვენებელი განისაზღვრა როგორც მშპ-ის 5,6 პროცენტი, ნაცვლად ადრე დაგეგმილი 6,7 პროცენტისა. გადასახადების არასათანადო შეგროვების უარყოფითი ზეგავლენა სახელმწიფო საფინანსო სისტემაზე ნაწილობრივ გაწონასწორებულ იქნა გრანტებისა და კაპიტალური შემოსავლების ნაგარაუდევრე მაღალი მოცულობით. მიუხედავად ამისა, წლის ბოლოსთვის დეფიციტის მოსალოდნელად ზრდასთან დაკავშირებით, საჭირო იყო დეფიციტის დაფინანსების სტრუქტურაში გარკვეული ცვლილებების შეტანა. შიდა დაკრედიტება 135 მილიონ ლარამდე გაიზარდა, ხოლო საგარეო სესხის მოცულობა ოდნავ შემცირდა და 114 მილიონ ლარს

შეადგენს. მომხდარი ცვლილებების შედეგად, ფინანსთა სამინისტრომ სექტემბერში პარლამენტს გადასწავლილი ბიუჯეტი წარუდგინა.

ეკონომიკური სტატისტიკის დაბალი დონე ზრდის გაურკვეველობას შემოსავლებისა და ზოგიერთი მიმდინარე ხარჯის დაგეგმვაში და, შესაბამისად, ბიუჯეტის შემდგომში გადასინჯვის ალბათობას. 1996 წლის ბიუჯეტის შესრულების გამოცდილება ხაზს უსვამს სახელმწიფო ფინანსების გაცილებით უფრო მკაცრი მართვის აუცილებლობას. ეს არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე გადასახადების შეგროვების გასაუმჯობესებლად ახალი ნაბიჯების გადაღება.

# სპორტული კალენდრისკოპი

## ჯარიმა - 50 000 დოლარი

"ფორმულა-3000"-ში 1996 წლის ჩემპიონატის ბოლო როლა სკანდალით და "ზარალით" დამთავრდა. ერთადერთი, ვისაც ჩემპიონობის პრეტენდენტის გერმანელი იორგ მიულერის გასწვრივ შეეძლო, იყო შვედი კენი ბრაკი და ისიც ბოლო ეტაპზე... შეჯიბრებიდან მოხსნეს.

უცნაური ის არის, რომ შვედმა ბოლო ეტაპი მართლა დამაჯერებლად მოიგო, გერმანელსაც ქულებით აჯობა, მაგრამ...

კაცს თუ ბედი არ სწყალობს, ღმერთიც ვერაფერს უშველის. საქმე ის არის, რომ მე-18 წრეზე შვედი სწორედ გერმანელს დაუჯახა, რის შედეგადაც მიულერი ბრძოლას გამოეთიშა. სიტუაცია გააანალიზა სადისკვალიფიკაციო კომისიამ და ბრაკი დამნაშავედ ჩათვალა. მას ვერც FIA-ში შეტანილმა საჩივარმა უშველა. პირიქით, იგი უფრო "დაზარადა" მორალურად და მატერიალურად. ბრაკის გუნდი "სუპერ ნოვა" 50000 დოლარით დაჯარიმდა, თავად მრბოლელს კი 20 000 დოლარის გადასხმა მოუწია.

ასეა, როცა კაცი "აკრძალული ილეთით" ფულის მოგებას ცდილობს, ის ყოველთვის ხელცარიელი რჩება. ბიზნესსაც ხნება სჭირდება.

## ფული თუ გაქვს სხვისთვისაც უნდა იზრუნო

ფეხბურთის მოყვარულთათვის კარგად არის ცნობილი აფრიკული წარმოშობის სპორტსმენის ჯორჯ ვეას სახელი. იგი 1995 წელს აღიარებულ იქნა მსოფლიოს, ევროპის და აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელად. სახელთან ერთად ვეას ფულიც არ აკლია, მაგრამ იგი მარტო თავის თავზე არ ფიქრობს. თამაშის ეს დიდოსტატი თავისი ქვეყნის მსურველზე პატრიოტიკა და ევროპის კლუბებში თამაშის დროს მიღებული საკონტრაქტო თანხის დიდ ნაწილს სამშობლოში ფეხბურთის განვითარებას ახმარს. საქმე ის არის, რომ მისი ქვეყანა ლიბერია ხანგრძლივ

ომშია ჩათრეული. სამხედრო ხარჯები ხაზინას აჩანაგებს და ფეხბურთისათვის არავის სცხელა, მაგრამ ლიბერიის ნაკრები აფრიკის კონტინენტზე გამართულ თითქმის ყველა ასპარეზობაში მანაც მონაწილეობს, ცხადია, ვეას წყალობით. იგი აფინანსებს ნაკრები გუნდის თითქმის ყველა მოგზაურობას და შეჯიბრებებში მონაწილეობასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. გულუხვობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ფიფამ ვეას მიანიჭა თავისი ყველაზე დიდი პრიზი Fair Play. ვეა პრიზს მიიღებს მომავალი წლის 20 იანვარს ლისაბონში, სადაც გამართება წლის ლაურეატებისათვის პრიზების გადაცემის ცერემონიალი.

## საგადასახადო სამსახურებს სპორტსმენების პირ გაუბრძინა

განელი ფეხბურთელი იებოა თურმე საგადასახადო სამსახურებს თავის რეალურ შემოსავალს უმაღლავდა, როცა ფრანკფურტის "აინტრახტში" თამაშობდა. გერმანიის საგადასახადო ორგანოები მას 2 მილიონი მარკის დამალვაში ადანაშაულებენ. თავად იებოა ბრალდებას უარყოფს, მაგრამ ვერც თავის სიმართლეს ამტკიცებს.

## თურქები მკაცრად დაისჯნენ

ევროპული თასების გათამაშების მეორე ტურში მაყურებელთა აღვირახსნილი მოქმედების გამო მკაცრად დაისჯა თურქეთის ორი საფეხბურთო კლუბი. "გალათასარი" უეფას გადაურიცხავს 75 ათას შვეიცარულ ფრანკს თავისი თასზე "პარი სენ-ჟერმენთან" განმეორებით შეხვედრაში გულშემატკივართა თავშეუკავებლობისათვის, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში მოასპარეზე "ფენერბახზე" 50 ათას შვეიცარულ ფრანკს გადაიხდის.

## გულშემატკივართა "შხარდაჭერაც" ამას ჰქვია.

77 წლის ასაკში გარდაიცვალა ინგლისური ფეხბურთის ისტორია-

ში ყველაზე ლეგენდარული თავდამსხმელი ტომი ლაუტონი. სხვა მრავალ რეკორდთან ერთად ლაუტონმა 1947 წელს საკონტრაქტო თანხა 20 ათას გირვანქა სტერლინგამდე "ასწია", რაც იმ დროისათვის ზღაპრულ თანხას შეადგენდა.

ბოლო წლებში ლაუტონი ნოტინგემში ცხოვრობდა და ადგილობრივ გაზეთში თანამშრომლობდა.

## იტყობა, ვინაა უფრო გამაჰსრდებია

ფიფას ტექნიკურმა კომისიამ იმსჯელა მეკარისათვის ბურთის მიწოდების წესების გამკაცრებაზე. ახალი პროექტით პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება მინდორის მოთამაშის მიერ კარის დარღვისათვის ბურთის დაბრუნება, რადგან ფეხთან ერთად გამოირიცხება სხეულის ნებისმიერი ნაწილი.

ახალი პროექტის ავტორებს მრავალი ოპონენტი გამოუჩნდათ და პროექტის მიღება ფიფას ტექნიკური კომისიის მორიგ სხდომაზე გადაიდო.

## უარი თქვა გადასვლაზე

გულშემატკივართა კატეგორიული მოთხოვნა გაითვალისწინა და "სამპდორიის" კაპიტანმა რობერტო მანინიმ უარი თქვა იტალიის ჩემპიონატის ლიდერის "ინტერის" რიგებში გადასვლაზე. მანინი "სამპდორიაში" 1982 წლიდან გამოდის და ამ დროის მანძილზე 130 გოლი გაიტანა. ამ მხრივ იგი მოქმედ იტალიელ ფეხბურთელებს შორის ლიდერია.

## "უხნეობის" გამო დაისჯა


არგენტინის "ბოკა ხუნიორსის" მწვრთნელმა კარლოს ბილარდომ განაცხადა, რომ გუნდის წევრებს აჯარიმებს 30 ათასი დოლარით. მიზეზი? წაგების შემდეგ "ბოკას" სპორტსმენებმა გამარჯვებულ "ინდეფენდენტის" ფეხბურთელებს მაისურები გაუცვალეს.

ბილარდოს აზრით, გუნდის მაისური "წმინდა სავანია" და მისი გაჩუქება უხნეობად მიაჩნია.

## ქოლა "ჩელსი"-ში მესამე იტალიელი გახდა

ერთ დროს იტალიაში სამღვარგარეთელი ფეხბურთელების სიმრავლის გამო დიდი ხნაური იყო აგეხილი. ახლა, როგორც ჩანს, პირუკუ პროცესი იწყება - თავად იტალიელებს იწვევენ უცხოური კლუბები. "პარმის" ნახევარმცველი ჯანფრანკო ქოლა უკვე ინგლისის "ჩელსი"-ში გადავიდა და გახდა მესამე იტალიელი. მანამდე "ჩელსის" მისიური მორიგეს ჯანლუკა ვიალიმ და რობერტო მარკომ. სწორედ ეს უკანასკნელი (№ 16) ულოცავს გოლის გატანას თავის "ჩელსელ" თანაკლუბელს მაიკლ დაბერის, რომლის დარგებამ სახელგანთქმულ "მანჩესტერ იუნაიტედს" 3 ქულა "დააკარგინა".

# კროსვორდი



**თარაზულად:** 2. ერთწლოვანი სარეველა მცენარე, ბალახებერთა ოჯახისა; იკეთებს მსხვილ, მოყვითალო, შხისკენ მიქცეულ ყვავილს. 4. მიღებისა და არსების სისტემა თხევადი სიბინძურის გასაღწეად. 6. ერთწლოვანი პარკოსანი კულტურული მცენარე, ღერი და ფოთლები იხმარება საჭიროების საკვებად; მარცვლი იჭმება. 8. ნაფიდან წყლის ამოსახაზი ნიჩაბი. 9. ვისიმე (რისიმე) მიმართ ნაზი გრძობის, სიყვარულის გამოხატვა, მოფერება. 13. ერთ-ერთი დიდ მოხელეთაგანი ქართველი მეფის (დიდებულის) სახალღეში. 14. სიტყვების პირობითი შემოკლება წერაში. 15. უძრავი ქონების (შენიშნის, მიწის...) დროებით დაქირავება სათანადო ხელშეკრულების დადებით. 16. მოყვითალო წერილი წინწკლები სახეზე (ხელებზე); ჩვეულებრივ გაზაფხულზე უჩნდება. 18. საჭმელი სოკო; იცის აგუფუ-აგუფად ამოსვლა მოჭრილ ხეებზე, ხის ძირებზე და ცოცხალი ხეების ძირში; იწვევს ხის ლიბობას. 20. ხარვეზებიანი ნაბეჭდი ფურცელი, რომლის ცარიელ ადგილებს საჭირო შემთხვევაში ავსებენ სათანადო ჩანაწერებით. 22. მარცვლის (სიმინდის, ღიმის) საფშენელი ხელკავი, იცინ იმერეთში. 23. ტაბიკების გადასაბმელი თოკი. 27. კარგი ბედი. 28. ადგილი, რომელიც მოთავსებულია დამანერეველი ძალის კერაში. 29. საბილწის ხელსაბანი ტურქული; იხმარებოდა ძველად. 30. ერთგარი ტკბილეუა; შხადდება შაქრისაგან და ნივების, მშესუმხირას და მისთ. დანავალი გულისაგან. 32. ფეხებზე ამოსაკრავი გრძელი და ბრტყელი ძელები თოვლზე სასრიალოდ, სასიარულოდ. 34. ცალკეული პირის კუთვნილი, რაც არ ეკუთვნის სახელმწიფოს ან საზოგადოებას. 36. ადამიანი, რომელიც პირადი სარგებლობის, გამოჩენის მიზნით მოქმედებს. 38. სხვისათვის სიყვარული, ცუდის მსურველი, ვნების მომტანი, ავკაცია. 39. ქობიური ელემენტის უმცირესი ნაწილაკი. 40. გათავისუფლება ვინმეზე დამოკიდებულებისაგან, უფლებრივად გათანასწოება. 41. საშუალო სიმაღლის ხე; აქვს კურკიანი, წვენიანი, გარდან შეუხვლი ნაყოფი.

**შვეულად:** 1. კაპიტალისტურ ქვეყნებში - დაწესებულება საფინანსო და საეკონომიკურ გარეგნობა დასაბუთდ. 2. "ანტიონის" ავტორი ბერძენი დრამატურგი. 3. მიწერ-ალური წარმოშობის ფიზიკური ნივთიერება; იხმარება გზებზე, ქუჩებზე დასავეებად. 4. პატიმრობა, შეერთებული, მძიმე იძულებით სამუშაოების. 5. მათემატიკის დარგი, რომელიც სწავლობს სიდიდებზე მოქმედებათა ზოგად კანონებს, ამ სიდიდების რიცხობრივი მნიშვნელობისაგან დამოუკიდებლად. 6. დაავადება, რომლისთვისაც დამანასიათებელია სწორი ნაწლავის ენების გაგანიერება, მათზე ეკანბების გაჩენა და პერიოდულად ხისხლის დენა. 7. დებულება, რომელსაც დამტკიცება არ სჭირდება. 10. სურვილი ვინმესთვის რამეში ჯობინისა, ქიშპი. 11. ავი სული (წარმოიღვინილი ჰყავთ პატარა არსებად). 12. დენითა და ტყვიით გატენილი მასრა. 16. გადაჭრილი მისხლის ამონაგარი გაზაფხულზე. 17. ჩინური ფულის ერთეული. 18. გალუნული, გახრილი, არასწორი. 19. ნაცარტუტაში გამოხარშული ერთგარი ხის სოკო; იყენებენ ტალ-კვესთან ერთად ცეცხლის გასაჩენად. 20. ზოგიერთი ბალახის ნაყოფი, შემოსილი კაუჭიანი გულით. 21. დიდი და მსუბუქი იალჭიანი სასპორტო ნავი. 24. ხის გუნისი, ქსელის წინა ნაწილი, რომელზედაც სახნისა წამოცმული. 25. სამეორეო საწარმო, სადაც მისდევენ სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ საკაციალურ დარგს. 26. მილის მქონე ღრმა კონუსი; იხმარება ვიწროკლან (პირფორი) ტურვლეში სითხის ჩასასხმელად. 30. მეცნიერება ჯანმრთელობის შესახებ; შეისწავლის დაავადებათა თავიდან აცილების საშუალებებს. 31. ჭუჭყურტანიდან ბნელში შემოსული სინათლის სხივი. 32. ივნისის ქართული ხალხური სახელწოდება. 33. ფარული მოქმედება, ხსიკეტი რაიმე მიზნის მისაღწევად. 34. წარმოების, დაწესებულების ადმინისტრაციულ-საკანცელარიო განყოფილება. 35. ჭიდან წყლის ამოსაღები მოწყობილობა - მღალი ბოძი, რომლის თავეზეც გაყვრილია მოძრავი ასაწვე-დასაწვეი ბოძი. 37. ბუნებისმეტყველების ერთ-ერთი ძირითადი დარგი - მეცნიერება, რომელიც იკვლევს ნივთიერებათა შედგენილობას, აგებულებას, თვისებებსა და ურთიერთგარდაქმნებს.

## წინა ნომარში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 3. ხაპარა; 7. ოუბლარი; 9. საათი; 12. ბაიამი; 14. პაიჭი; 15. ოდრიკალი; 17. სკალა; 18. რადიო; 19. გვირილა; 20. საფერზე; 22. კეალიჭი; 23. კერქსკი; 25. ამინდი; 26. ბოანდი; 27. ისარა; 30. კორი; 33. ლიტრიანი; 35. იობი; 36. დეფლუაი; 37. ლეები; 38. ბინადარი; 39. იერიმი; **შვეულად:** 1. ჯალათი; 2. კაბელი; 4. კაერი; 5. ადგილკომი; 6. წალიკა; 8. რაბი; 9. საპალნი; 10. სოლი; 11. მანიფესტაცია; 13. არქიმანდრიტი; 16. ვიდელი; 21. რანდი; 23. კანდიდატი; 24. პროფილი; 28. სვია; 29. როიალი; 31. ლიქიორი; 32. ალაფი; 33. ლორი; 34. იდეალი.

გაზეთის დამფუძნებლებმა არიან საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და რედაქციის შემოქმედებითი კოლექტივი. "შესაკუთრე" რეესტრირებულია თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოში. საარეესტრაციო ნომერია 5/4-909.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციაში დახაბეჭდად წარმოდგენილ წერილებში დასახელებული ფაქტების, ციფრების, სახელებისა და გვარების ხიზუსტეს უზრუნველყოფენ ავტორები. დედაბეჭდში დამუშავდ შუცდომილზე რედაქცია პასუხს არ აკებს. რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება. დედაბეჭდ ავტორებს არ უბრუნდებათ.

ავტორებს. გოსოფთ ნუ შემოგთავაზებენ თაბახის 7 გვერდზე გრცელ წერილს.

რედაქცია არ იღებს ხელნაწერებს.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.11.96.

